# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 30 ივლისი 2003 №139 (1911) | ფასი 50 თეთრი




## დღეს კვარაცხელიას ძალიან დასცხება

### იგი შეიძლება ის პირველი მერცხალი აღმოჩნდეს, რომელსაც თბილ ქვეყნებში აღარ გაუშვებენ

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართველ მსაჯთაგან ერთ-ერთ გამოცდილს და სახელიანს სერგო კვარაცხელიას სასჯელი არ ასცდება. ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომისიამ გუშინწინ დაასკვნა, რომ კვარაცხელია „მერცხალ" — „თბილისის" მატჩისას არაერთხელ შეცდა და ამით უპასუხა „თბილისის" თავკაცთა საპროტესტო წერილს, ოლონდ საბოლოო სიტყვა დღეს გასამართ სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე ითქმება.

მსაჯი კი თავს დამნაშავედ სულაც არ თვლის და არგუმენტად მატჩის ინსპექტორ-დირექტორის პატაკები მოჰყავს, ამათ კვარაცხელიასა და შეხვედრის თანამსაჯთა გარჯა ფრიადზე შეუფასებიათ.

ჩვენში მსაჯები აქამდეც დაუსჯიათ და „კვარაცხელიას საქმეც" ალბათ არ გამოიწვევდა ამდენ ხმაურს, ერთი გარემოება რომ არა — „თბილისის" თავკაცები კვარაცხელიას გასამართლებით მსაჯთა თვითნებობისა და არაობიექტურობის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყებას აპირებენ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან, ერთი კი უნდა ვთქვათ — კლუბთა უმეტესობა მსაჯთა მიკერძოებაზე ხმამაღლა კი ლაპარაკობს, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, მხოლოდ მაშინ, როცა თავადაა დაჩაგრული.



## გუშინ ზიზუ რეალიდან წავიდა

ზინედინ ზიდანი კარიერის წერტილს მადრიდის „რეალში" დასვამსო, მოვიდა ამბავი ჩინეთიდან, სადაც პლანეტა დედამიწის უპირველესი სუპერკლუბი ტურნეს ასრულებს. ჩინურ კუნმინში ზიზუმ პირველად აღნიშნა, რომ ბუცებს ორ წელიწადში გაიძრობს, როცა „რეალთან" მისი კონტრაქტის ვადა ამოილევა. კონტრაქტი კი თავის დროზე კაცს დაბურძგლავდა: არაბულძირა ფრანგ ფეხბურთელში „რეალმა" „იუვენტუსს" 64,4 მილიონი დოლარი გადაუხადა და იქამდე და მერეც ეს თითქმის სარეკორდო თანხა იყო საფეხბურთო ტრანსფერების მატიანეში.

ტიტულები ზიდანს მუდამ უხვად ათოვდა, ჯერ მარტო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა კმარა, პლუს ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო, პრიმერადივიზიონი; მოკლედ, მშვიდი სინდისით გავა პენსიაზე.


ავთანდილ ბურასაშვილი

პარიზიდან




## სად ხართ, როგორ ხართ?
## ტატამზე კარგად ვართ

პარიზში, ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველომ არცთუ მცირერიცხოვანი დელეგაცია მიავლინა. საკმაოდ წარმომადგენლობითია სპორტსმენთა ჯგუფი, თუმც ჩვენი გოგობიჭებისგან უზღვავ მედლებს არ ველით. მთავარი იმედები, ტრადიციულად, ძიუდოისტებზე ვამყარებთ და ისინიც აგერ, ორი დღეა, საქმეს შეუდგნენ. ოლიმპიადის პირველივე დღეს ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა მალხაზ ნიჟარაძემ (90 კგ) და ლევან გორგაძემ (მძიმე წონა) ფინალამდე ყველა მეტოქეს სძლიეს. გადამწყვეტი შეხვედრები კი აზაურებთან დათმეს და საქართველოს დელეგაციის ყულაბაში ორი ვერცხლი ჩაუშვეს. ასევე ვერცხლი მოიპოვა გუშინ 73-კილოგრამიანმა ბექა ბექაურმა, 81-კილოგრამიანებში ბრინჯაოს მედალი ერგო საბა გავაშელიშვილს. ქართველების მონაგარიც, ჯერჯერობით, სულ ესაა.

სხვა ჩვენებური სპორტსმენებიდან საუკეთესო შედეგი აჩვენა მორბენალმა ეკატერინე ტყემალაძემ, რომელიც 400-მეტრიან გარბენში 30 მონაწილეში მე-12 ადგილზე გავიდა და ფინალში ვერ მოხვდა. ასევე 400-მეტრიან, ოღონდ თარჯებიან დისტანციაზე 18 მონაწილეში მე-15 დრო აჩვენა თამარ ესებუამ. ბირთვის მკვრელი ნინო ელიზბარაშვილი თანატოლ გოგონებში მე-13 იყო. ხოლო ველომრბოლებმა გიორგი ნადირაძემ და თეიმურაზ ძიძიგურმა შესაბამისად 41-ე და 56-ე ადგილები დაიკავეს.



# ფრეშ-ვარიანტი დონეცკელი ქართველებისთვის



გიორგი დემეტრაძეს ახალი დამრიგებელი ჰყავს

გოჩა ჯამარაულს და გიორგი დემეტრაძეს მწვრთნელი შეეცვალათ. ახალგაზრდა ალექსანდრ სევიდოვის ნაცვლად დონეცკის „მეტალურგი“ ჩაიბარა 58 წლის ჰოლანდიელმა ვილემ ფრეშმა, რომელსაც მისივე თანამემამულე, 37 წლის ტონ კაანენი დაეხმარება.

დონბასელებმა ახალი ჩემპიონატი სუსტად დაიწყეს. მართალია, ჯერაც დაუმარცხებელნი არიან, მაგრამ საწყის ოთხ ტურში ერთადერთხელ გაიმარჯვეს, რამაც კლუბის ხელმძღვანელობას მწვრთნელის შეცვლა გადააწყვეტინა. არადა, ჯამარაულ-დემეტრაძის გუნდს მალე უეფას თასზე თამაშიც ელის.

„მეტალურგის“ ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ალექსანდრ სევიდოვი კლუბში დარჩება და მწვრთნელთა საბჭოს უხელმძღვანელებს.

ორიოდ სიტყვა ვილემ ფრეშზე: წინა სეზონში ის ჰოლანდიური „როდას“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა, მანამდე ამავე კლუბის ბავშვთა სკოლას თავკაცობდა. ბოლო კლუბი კი, რომელიც ფრეშს გაუწვრთნია 1991-94 წლებში, ჰოლანდიური მესამე დივიზიონის „მეერსენი“ გახლდათ.

სატურნირო ცხრილში „მეტალურგი“ ახლა მეშვიდე ადგილზეა.

**ბახა შალამბერიძე**



# შეცდი? ხუთიანი!

## კვარაცხელიას დღესაც გაასამართლებენ

*ვერც კი ვიხსენებთ, ბოლოს როდის დაიწყო აურზაურის გარეშე ეროვნული ჩემპიონატი. სკანდალი და ქართული ფეხბურთი განუყოფელი გახდა. მე-15 ეროვნულის პირველი ტურის ოზურგეთულ მატჩს დიდი ხმაური მოჰყვა. დებიუტანტ „მერცხალთან“ დამარცხებული „თბილისის“ მესვეურებმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს და მატჩის გამოცდილი არბიტრ სერგო კვარაცხელიას ფედერაციაში უჩივლეს*

**კვარაცხელია** არაკვალიფიციურად და ტენდენციურად გაისარჯა, მისი წყალობით დავმარცხდით და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო — თქვეს მატჩის შემდეგ თბილისელებმა და რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში საპროტესტო წერილი აფრინეს ფედერაციაში. ოზურგეთში გაწბილებულმა სტუმრებმა საჩივარს ვიდეო მასალაც დაურთეს. „თბილისის“ პროტესტი ორშაბათს სფფ-ის საექსპერტო კომისიამ განიხილა, რომელსაც მერაბ ჭელიძე ხელმძღვანელობს. ხუთკაციან ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც ჭელიძესთან ერთად ანატოლი მილჩენკო, ოთარ გუნთაძე, ადიკ დურსუნიში და ჩვენი კოლეგა ჯემალ ჭიპაშვილი წარმოადგენდნენ, ვიდეომასალის გარჩევისას დიდი თავსატეხი არ გასჩენია. გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო — კვარაცხელია მატჩის მანძილზე არაერთხელ შეცდა. თუმც, საექსპერტო კომისიის ვერდიქტი გადამწყვეტი არ არის. ჭელიძის მიერ ხელმოწერილი დასკვნა გუშინ საპელაციო კომიტეტს გადაეცა. ვფიქრობთ, განსხვავებული მოსაზრება არც დისციპლინარებს ექნებათ. ამიტომ დიდი შანსია, რომ მათ მიერ ბეჭედდასმული დასკვნის საფუძველზე დღეს საპელაციო კომიტეტმა სერგო კვარაცხელიასთვის სავალალო გადაწყვეტილება მიიღოს.

მსგავსი პრეცედენტი ჩვენში აქამდეც ყოფილა, მსაჯები მკაცრადაც დასჯილან. ქარელელ გურამ ასკაროვლის საერთოდ აუკრძალეს მსაჯობა და ორწლიანი პაუზის შემდეგლა შეიწყალეს. ბოლო აღმასკომის სხდომაზე დართეს საქმიანობის უფლება 16 თვის წინ დასჯილ ალექსანდრე კრიჭაშვილსაც, მაგრამ ალბათ ფიფას არბიტრ კვარაცხელიას ასე არ გაიმეტებენ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები მკაცრად ითხოვენ შეცდომილის დასჯას.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, კვარაცხელია თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი აზრით, ჩვეულად, ნორმალურად გაუძღვა საქმეს და უკმაყოფილების საბაბი არავის უნდა ჰქონოდა. მსაჯის სიტყვებს მატჩის ინსპექტორ-დირექტორის შეფასებებიც ამყარებს. კვარაცხელია და ოზურგეთში გარჯილი თანამსაჯები მეთვალყურეებმა ფრიადზე შეაფასეს.

ოზურგეთული მატჩის დასრულებისას ცხელ გულზე ითქვა, „მერცხალს“ ეს მოგება არ შეერგება, შედეგი გაუქმდებაო. ფაქტობრივად წარმოუდგენელია, რომ დღეს მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს საპელაციო კომიტეტმა. სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტის გამოცდილი თავკაცის ანატოლი მილჩენკოს განმარტებით, მსგავსი პრეცედენტი თანამედროვე ფეხბურთში არ ყოფილა. შეუძლებელია, მსაჯთა შეცდომების მიზეზით დაფიქსირებული ანგარიში გაუქმდესო, გვითხრა მილჩენკომ. შედეგის ანულირებას დღეს არც „თბილისის“ ხელმძღვანელები ითხოვენ. გუშინ კომენტარისთვის „თბილისის“ პრეზიდენტ *ნიკა დოლიძეს* დავუკავშირდით: „ჩვენ ვიცით, რომ დაფიქსირებული ანგარიში არ შეიცვლება და ამას არც ვითხოვთ. კვარაცხელიამ სასტიკად გაგვიმეტა. ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნა, დაუმსახურებლად გაგვიძევა ფეხბურთელი, რამაც ჯამში გავლენა მოახდინა მატჩის შედეგზე. კვარაცხელია მკაცრად უნდა დაისაჯოს. ჩვენ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს მსაჯების პარპაშს. საქართველოში ცუდი ტრადიცია დამკვიდრდა. თითქმის ყველა შეგუებულა იმ აზრს, რომ სტუმრად ჩასულ გუნდს მასპინძლებთან ერთად მსაჯებიც უნდა დაუხვდნენ. რატომ უნდა დაიჩაგროს სტუმარი თემიდელთა წყალობით? ჩვენ გუნდს შორსმიმავალი მიზნები აქვს, სოლიდური ინვესტიციებია „თბილისში“ ჩადებული და მავანთა არაკვალიფიციურობით თუ გამიზნული მოქმედებით ხელი არ უნდა შეგვეშალოს, ამიტომაც წარვადგინეთ პროტესტი ფედერაციაში და იმედი მაქვს, საპელაციო კომიტეტი მსაჯთათვის სამაგალითო გადაწყვეტილებას მიიღებს“.

გუშინვე „თბილისის“ მეპატრონეს *მამუკა გუგეშაშვილს* დავუკავშირდით, ოზურგეთულმა მოვლენებმა გუგეშაშვილი გუნდების და მსაჯების სამომავლო ურთიერთობაზე დააფიქრა და მისი ინიციატივით „თბილისი“ ახალ პროექტს წარუდგენს სფფ-ის აღმასკომს: „როგორც ჩანს, ფედერაცია სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს მსაჯთა მოთხოვნებს, არბიტრიც ძალაუნებურად გამორჩენის მიზნით ამა თუ იმ გუნდის გავლენის ქვეში ექცევა, ეს რომ ასე არ მოხდეს, აჯობებს, თუ მატჩის წინ ორივე გუნდი ოფიციალურად ფიქსირებულ თანხას გადაუხდის მსაჯებს და პრობლემაც ამით მოგვარდება. ამ წინადადებას აღმასკომზე წარვადგენთ და იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება“.

**ბაათა ძმანტალიანი**



მამუკა გუგეშაშვილი



ნიკოლოზ დოლიძე

## ამხანაგური მატჩები



არსენალი — ბეშიქთაში. თურქმა აჰმეთ ილდირიმმა „მეთოფე“ დენის ბერგკამპი ვერ გააჩერა

არსენალი (ინგლისი) 1:0 ბეშიქთაში (თურქეთი)
ჰალმსტადი (შვედეთი) 2:1 საუთჰემპტონი (ინგლისი)
ინტერი (იტალია) 2:0 შტუტგარტი (გერმანია)
ბრიუგე (ბელგია) 0:3 მონაკო (საფრანგეთი)
კაიზერ ჩიფსი (სამხრეთ აფრიკა) 0:2 ტოტენჰემი (ინგლისი)

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
III ტური

ავსტრია (ლ) 3:1 ლეობენი
ბად ბლაიბერგი 0:0 ლუსტენაუ
კაპფენბერგი 0:2 ლინცერი
ვიორგლი 1:3 ტიროლი
რიდი 1:1 ინტერვეტენი

### შვეიცარია

სუპერლიგა. III ტური
გრასჰოპერი 5:3 ვილი

### ისლანდია

XII ტური
ფილკირი 3:0 ვესტმანაეიარი

### ჩეხეთი

I ტური
ბრნო — ოპავა გადაიდო

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
15

# 1 ტური

*თოთხმეტი წელია ზრდიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავის შვილს. ეროვნული ჩემპიონატიც გვარიანად წამოიზარდა, თუმც ნალოლიავები პირმშო საკმაოდ ძნელად ასაზრდელი კი გამოდგა. მისგან პრობლემები ხშირად ექმნებოდა მშობელს...*

*„გარდატეხის ასაკში" შესულ ჩემპიონატს ახალმა მეჯარველმა გაუწოდა ხელი. პროფესიულმა ლიგამ ფეხბურთის ფედერაციასთან საერთო ენა გამონახა და ჩემპიონატიც იშვილა. მაგრამ ყველაფერი ასე იოლად არ დასრულებულა. ახალმა მშობელმა „მოზარდის" პატრონობა მთლიანად ვერ გარისკა და ძველთანვე შეთანხმებით ერთი წელი გამოსაცდელ ვადად ითხოვა. ამ დროში ძველი და ახალი მშობელი ერთად მოუვლიან ნერვიულ, ინტრიგებით სავსე და ჯერაც დაბალ კლასში მყოფ შვილს*

# არ გააბრაზოთ ჩემპიონატი! ორ მამას მოგიყვანთ



მცხეთელთა მეკარე გიორგი ცინაძე ვეტერინარებისგან დაისეტყვა

**მერე კი...** მერე რა იქნება, ვინ იცის. ჩვენ დღევანდელზე ვთქვათ. მით უმეტეს, ზიარმა ჩემპიონატმა უკვე პირველი ტურიც ჩაყლაპა და გარკვეული შთაბეჭდილებაც დაგვიტოვა.

მაშ ასე, 26-28 ივლისს საქართველოს მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. სიმართლე ვთქვათ, პირველი ტურის შემდეგ დასკვნების გაკეთება ნაადრევია, მაგრამ საყურადღებო ფაქტები მაინც მოხდა.

დრონი მიდიან და საქართველოში მეფენი მაინც რჩებიან. გინდა პირველი ტური იყოს, გინდ ბოლო, სატურნირო ცხრილის საუკეთესო სამეული ახალს ვერაფერს გვეუბნება. „ვიტ ჯორჯია", „დინამო" და „ტორპედო" რომ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ, იმთავითვე ცნობილი იყო. მათ ალბათ მალე ბოლნისის „სიონი" და თბილისის „ლოკომოტივიც" შეუერთდებათ. აი, ვინ იქნება ზედა ექვსეულის მეექვსე წევრი, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

საინტერესო ის არის, რომ მეთხუთმეტე ეროვნულს მასშტაბი გაუფართოვდა — უმაღლეს ლიგას გურია დაუბრუნდა. ოზურგეთის „მერცხალმა" რე-დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა, 2:1 მოუგო „თბილისს". უცნაურია, მაგრამ ამ მატჩში მომხდარი ამბები დანარჩენს მნიშვნელოვნად ჩრდილავს. დავიწყოთ? ინებეთ: მსაჯ სერგო კვარაცხელიას 73-ჯერ მოუხდა გუნდების დაჯარიმება; 9 ფეხბურთელი გააფრთხილა და ერთიც გააძევა; შეხვედრას ყველაზე მეტი, 4000 მაყურებელი დაესწრო და ყველაზე მთავარი — ამ მატჩმა ყველაზე დიდი ხმაური გამოიწვია, რაც მსაჯობით უკმაყოფილო თბილისელების ფედერაციაში პროტესტის შეტანით გამოიხატა, თუმც ამ ამბავს დღევანდელ „სარბიელში" ცალკე წერილი ეძღვნება და უფრო დაწვრილებით იქ წაიკითხავთ.

პირველი ტურის მიმოხილვას მივუბრუნდეთ: ჩემპიონატი მასპინძლების აშკარა აგრესიით დაიწყო. ექვსი მატჩიდან დამხვდურებმა ოთხში იმარჯვეს, ორიც ფრედ დასრულდა. ბურთების საერთო შეფარდება კი ასეთია — 18:2.

ყველაზე მეტი გოლი „ვიტ ჯორჯია" — „მცხეთას" მატჩში გავიდა, მაგრამ „შევარდენზე" ისეთი თამაში იყო, ბევრს ვერც წარმოედგინა, ერთბაშად შვიდ გოლს თუ ნახავდა. ვეტერინარებმა 58-ე წუთიდან დაიწყეს მცხეთელთა დაბომბვა. სხვათა შორის, ყველაზე უხვგოლიან მატჩს ყველაზე მწირი აუდიტორია ჰყავდა — სულ 300-მდე მოსიერე.

ტურის ერთადერთი ჰეთ თრიქი „ეროვნულზე" გამოცხვა. დინამოელმა ლადო ახალაიამ სამჯერ დალაშქრა დებიუტანტ „სპარტაკის" კარი. ისე, ჩემპიონატის მასშტაბურობის კიდევ უფრო გაზრდაში მთავარი „ხელისშემშლელი" სწორედ „სპარტაკი" გამოდგა, რომელმაც გაჭირვებისგან სულისმლაფავ ზუგდიდის „ლაზიკას" ადგილი დაიკავა უმაღლეს ლიგაში. ერთი სიტყვით, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანურ „ტირანასთან" შერცხვენილმა „დინამომ" ჩემპიონატი 6:0 გამარჯვებით დაიწყო.

ევროტურნირზე თამაშს ჯერაც ელის ბოლნისის „სიონი". უეფას თასზე სლოვაკური „პუხოვის" მომლოდინე ბოლნისელები გუშინწინ გაახლებულ „ლოკომოტივს" ესტუმრნენ და 1:1 გაუგორეს. რკინიგზელთა შორის შვეიცარიამოვლილი ლევან ხომერიკიც იყო, რომელმაც გოლით გამოიჩინა თავი. მის გარდა თბილისელებს უცხოეთიდან თენგიზ სიჭინავაც შეუერთდა. მაგრამ „ლოკომოტივის" პრობლემები ვერმოგებული მატჩით სულაც არ მთავრდება. რკინიგზასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის დავა დღემდე გრძელდება და რევაზ არველაძეც განახევრებული შემადგენლობით დაუხვდა „სიონს".

ხომერიკის გარდა ევროპიდან საქართველოს კიდევ ერთი კაცი ესტუმრა. „ტორპედო" — „ბათუმის" მატჩს ქუთაისში ფრანგული „ლანსის" წარმომადგენელი დაესწრო. ქუთათურებმა მეტოქე 2:0 კი დაამარცხეს, მაგრამ ეს თამაში რომ უეფას თასზე „ლანსის" წინააღმდეგ ვერაფერი ნუგეშია, დიდი გამოცნობა არ სჭირდება. „ტორპედოს" გულშემატკივრები კი დღემდე მისტირიან გუნდიდან წასულ ზურაბ იონანიძეს.

დაბოლოს, ტურის ყველაზე უსახურ თამაშს ფოთმა უმასპინძლა. „კოლხეთმა" 800 მაყურებლის თვალწინ ვერაფერი მოუხერხა გორის „დილას". გუნდები თითქოს კი ფაცხურობდნენ, მაგრამ კარების ჩარჩოებზე ჩამოკიდებულ წითელ ბადეებს „ხელი" ვერ ახლეს.

ერთი სიტყვით, ავად თუ კარგად, ჩემპიონატი დაგვეწყო. რას მოგვიტანს მეთხუთმეტე ეროვნული, ამას გაისად მაისში ვნახავთ. მანამდე კი ბურთმა უნდა იგოროს, მთავარია, ხარისხიანად, თუნდაც შარშანდელზე ოდნავ უკეთესად...

**ჯაბა შალამბერიძე**





ლევან ხომერიკი და თენგიზ სიჭინავა საქართველოში „ლოკომოტივმა" დააბრუნა



ლადო ახალაია




| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 მერცხალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 6 ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 8 კოლხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 12 მცხეთა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | -7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | -7 | 0 |

**სტატისტიკა**

| ჯარ. | კუთხ. | კარისკენ | კარში | თამაშგ. |
|---|---|---|---|---|
| 9 | 9 | 7 | 16 | 2 |
| 10 | 10 | 15 | 12 | 5 |
| 9 | 7 | 8 | 11 | 3 |
| 34 | 6 | 3 | 3 | 3 |
| 14 | 3 | 3 | 3 | 0 |
| 13 | 4 | 4 | 2 | 2 |
| 23 | 2 | 2 | 2 | 5 |
| 17 | 2 | 7 | 3 | 2 |
| 32 | 5 | 2 | 3 | 4 |
| 10 | 2 | 6 | 2 | 2 |
| 17 | 3 | 3 | 2 | 2 |
| 10 | 2 | 5 | 2 | 0 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 3 - | ახალაია | *დინამო* |
| 2 - | გოგობერიშვილი | *დინამო* |
| | გოცირიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| | გოჩაშვილი | *ვიტ ჯორჯია* |

# კობიაშვილის სახუმარო სიტყვა

## მე ანდრეას მიოლერი არ ვარ

*დღეს გელზენკირხენის „შალკე“ ინტერტოტოს თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში ჩეხურ „ლიბერეცს“ უმასპინძლებს. შალკელთა ქართველმა ახალწვეულმა ლევან კობიაშვილმა ორი ოფიციალური მატჩი უკვე ითამაშა „ხუმარათა“ რიგებში მოლდოვური „დაჩიას“ წინააღმდეგ. ასე რომ, „კობი“ ნელ-ნელა უშინაურდება ახალ კლუბს, ახალ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს, ახალ გარემოს და ახალ ამბიციებს.*

*ლევან კობიაშვილს გუშინ შევეხმიანეთ და შალკური ამბები გამოვკითხეთ*



— „შალკესთან“ ერთად მოსამზადებელი ეტაპი გაიარე და სეზონიც უკვე დაგეწყოთ — როგორია გელზენკირხენული შთაბეჭდილებები?

— „ფრაიბურგსა“ და „შალკეს“ შორის საკმაო განსხვავებაა. „შალკეში“ კარგად მიმიღეს. კლუბის წარმომადგენლები, ფეხბურთელები და მწვრთნელები თბილად მეპყრობიან. გამორჩეულად ვინმესთან ჯერ არ დავმეგობრებულვარ.

— „შალკეს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — იუპ ჰაინკესი. ამ მოკლე დროში მასთან მუშაობის შემდეგ რა შეგიძლია თქვა ამ სახელგანთქმულ სპეციალისტზე?

— რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს იმაზე, თუ რა გამოცდილი და ძლიერი მწვრთნელია ჰაინკესი. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად ის კარგი პიროვნებაც ყოფილა — ფეხბურთელებთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვს. რაც შეეხება მის სათამაშო კონცეფციას, ის უფრო ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია.

**— ჰაინკესმა ამას წინათ თქვა, სადაც კი მივედი, ყველა გუნდს ლამაზ ფეხბურთს ვათამაშებდი, მაგრამ ამას შედეგი ხან მოაქვს, ხან არაო...**

— ლამაზი ფეხბურთი ერთია, მაგრამ შედეგი მეორე. „შალკეში“ ჰაინკესისგან პირველ რიგში ყველა შედეგს ელის და ითხოვს. თუ ლამაზად ითამაშებს და ტიტულებსაც მოიხვეჭს, ამას რა სჯობს, მაგრამ მთავარი შედეგია.

**— „შალკეს“ უმთავრესი მიზანი რა არის დამდეგ ბუნდესლიგაში?**

— საუკეთესო სამეულში მოხვედრა, რათა გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ.

**— თუ „შალკეს“ მიუნხენის „ბაიერნს“ ან „დორტმუნდს“ შევადარებთ, აქაც დიდ სხვაობასთან გვექნება საქმე?**

— „ბაიერნი“ მართლაც სულ სხვაა და ბავარიელებს ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევედრებით. „შალკეს“ ახალი მწვრთნელი და რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჰყავს და ამ სეზონში ძალიან გაგვიჭირდება „ბაიერნთან“ პაექრობა. ეს რომ ამ სეზონშივე შევძლოთ, სასწაული იქნება. მაგრამ მომდევნო სეზონში ალბათ შევძლებთ „ბაიერნისთვის“ სერიოზული კონკურენციის გაწევას. რაც შეეხება „დორტმუნდს“, ვფიქრობ, „შალკეს“ და ამ გუნდს შორის დიდი სხვაობა სულაც არ არის. „ბაიერნი“ კი მაინც „ბაიერნია“.

**— „შალკეს“ ვებ-გვერდზე ამას წინათ შენი ვიდეოინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც თქვი, რომ „ფრაიბურგში“ უფრო შემტევი ფეხბურთელი იყავი, მაგრამ შენი ადგილი დაცვაშია. ეს იმას ნიშნავს, რომ შემტევ კობიაშვილს ბუნდესლიგაში ველარ ვიხილავთ?**

— მთლად მასეც არაა. როცა „შალკეში“ მივედი, ჟურნალისტებს მიაჩნდათ, რომ ანდრეას მიოლერის პოზიციას დავიკავებდი და „შალკემ“ სწორედ ამის გამო ამიყვანა. მე კი მათ ვუთხარი, რომ ეს ჩემი ამპლუა არაა, უბრალოდ ამ ადგილზე რამდენჯერმე თუ მითამაშია. „ფრაიბურგში“ თამაშისას ისე ჩანდა, რომ მე უფრო შემტევი ფეხბურთელი ვიყავი და შეტევაში უკეთესად შემეძლო თამაში. მაგრამ „შალკე“ სულ სხვა დონეა. ჩემი მთავარი ფუნქცია დაცვაში თამაში და მერე შეტევაში ჩართვაა. ასე რომ, წინ თამაში ჩემი ფუნქცია არაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეტევაში წასვლა აკრძალული მაქვს.

**— ამის შესახებ ალბათ ჰაინკესს ესაუბრე...**

— მასთან პირად საუბარშიც ვთქვი, რომ ჩემი პლუსი უფრო დაცვაში თამაშია.

**— ჰაინკესმაც საკონტროლო მატჩებში და ინტერტოტოზეც მარცხენა მცველად გათამაშა. მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე კი იორგ ბიომეს ტრავმის შემდეგ მწვრთნელი ვის ანიჭებს უპირატესობას?**

— ძირითადად ვარელას ან იოხენ ზაიცს. არის კიდევ რამდენიმე ვარიანტიც.

**— „შალკეს“ ახალწვეულთაგან აქებენ საიმონ ციომერს და ალტინტოპს...**

— ორივენი პერსპექტიულები არიან, მაგრამ ჯერ ახალგაზრდები, სტაბილურობას კი დრო და გამოცდილება სჭირდება.

**— ვინ არის „შალკეს“ გამოკვეთილი ლიდერი ამ დროისთვის? ვინ წარმართავს გუნდის თამაშს?**

— ჩვენ ისეთი ტაქტიკით ვთამაშობთ, ის კონკრეტულად ერთ ფეხბურთელზე არ არის აგებული, უფრო გუნდურ ფეხბურთს ვთამაშობთ. თუმც გამოცდილებით და სახელით თუ ვიმსჯელებთ, „შალკეს“ ჰყავს გამორჩეული მოთამაშე — ებე სანდი. მისგან ამ სეზონში ბევრი გოლის გატანას ელიან.

**— მოლდოვური „დაჩიას“ გადალახვის შემდეგ ინტერტოტოზე „ლიბერეცი“ გელით. უეფას თასის საგზური „შალკესთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია?**

— შეიძლება ითქვას, რომ ეს „შალკეს“ მთავარი მიზანია და ამისთვის აუცილებლად უნდა ჩამოვიცილოთ გზიდან „ლიბერეცი“. თუმც ჩეხებთან თამაში საკმაოდ ძნელი იქნება.

**— „შალკეში“ პენალტებს თუ ასრულებ?**

— როგორ არა, ჯარიმებსაც და კუთხურებსაც.

**— როგორ ფიქრობ, ვინ არის ბუნდესლიგაში საუკეთესო მარცხენა მცველი?**

— ჩემს პოზიციაზე საუკეთესო ბიქსენტ ლიზარაზუა.

**— „ფრაიბურგზეც“ ვთქვათ — შენი წასვლის შემდეგ ფოლკერ ფინკემ ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები დაიმატა...**

— „ფრაიბურგის“ ერთი საკონტროლო მატჩი ვნახე. „ფრაიბურგს“ მართლაც ძნელი სეზონი ელის. ბუნდესლიგაში ახალი მოთამაშეებით ყველა გუნდი გაძლიერდა, მათ შორის ისინიც, ვინც ბუნდესლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებენ. მაგრამ ისიცაა, რომ „ფრაიბურგი“ ყოველთვის ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. „ფრაიბურგში“ ხუთი სეზონი ვითამაშე და ოთხჯერ საქმისადმი ასეთმა მიდგომამ გაამართლა. „ფრაიბურგს“ კვლავაც ვუგულშემატკივრებ, რათა ათეულში მოხვდეს.

**დავით თავართქილაძე**



*„ვალერი კარგი მცველია, მაგრამ ჩვენს სათამაშო კონცეფციას ვერ ერგება. ვიცი, მას თამაში სურს და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ჩვენ ვისაუბრეთ და შევთანხმდით, მისთვის უმჯობესი იქნება, თუ კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს“ — მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა ვალერი აბრამიძის ტრანსფერზე დაყენებას გუშინ ასეთი კომენტარი დაურთო.*

*ვალერი აბრამიძეს გუშინვე მოსკოვში დავუკავშირდით, ჩვენებური ტარასოვკის სანვრთნელ ბაზაზე ფორმის შესანარჩუნებლად თავისთვის ვარჯიშობს...*



ვალერი აბრამიძე (№44) „სპარტაკს“ გაეყარა

# აბრამიძე რუსებს მამა აბრამის ბატკანი ეგონათ

**— „სპარტაკმა“ დაგაყენა ტრანსფერზე თუ თავად მოითხოვე?**

— მე მივედი გუნდის ტექნიკურ დირექტორ შიკუნოვთან და მწვრთნელ ჩერნიშოვთან. უთამაშებლობას ვერ შევეგუე. ორივეს ველაპარაკე და პირდაპირ ვუთხარი, თუ არ მათამაშებთ, გამყიდეთ-მეთქი.

**— კლუბის პრეზიდენტ ჩერვიჩენკოსთან არ გისაუბრია?**

— არა, ასეთი ამბები მხოლოდ შიკუნოვს ეხება.

**— თქვი, ჩერნიშოვს ველაპარაკეო. მწვრთნელმა ახლახან კომენტარიც გააკეთა, ვალერი აბრამიძე კარგი მცველია, მაგრამ ჩვენს სათამაშო კონცეფციას ვერ ერგებაო...**

— ზუსტად ეგ მაინტერესებს, რას ნიშნავს ვერ ერგება. ჩერნიშოვმა ვერაფრით ამიხსნა მიზეზი, რატომ ვერ ვჯდები მის სქემებში. რაღაც აბდაუბდას მელაპარაკებოდა. მეც პირდაპირ ვუთხარი, რომ სკამზე ჯდომას არ ვაპირებდი და ტრანსფერზე დაყენება მოვითხოვე. ჰოდა, დამთანხმდნენ.

**— ახლა რას აპირებ?**

— ჩემთვის ვვარჯიშობ, ფორმა ხომ უნდა შევინარჩუნო, რომ გამყიდონ.

**— რაიმე ვარიანტი ხომ არ გამოჩენილა?**

— არ ვიცი, შიკუნოვი შემპირდა, კარგ გუნდს გაგიხერხებო.

**— ისევ რუსეთში დარჩები? საქართველოში დაბრუნებას გამორიცხავ?**

— ვერ გეტყვი. თუ კარგ პირობებს შემომთავაზებენ, საქართველოშიც ვითამაშებ.

**— ვთქვათ, ისევ ქუთაისის „ტორპედოში“?**

— არა, „ტორპედო“ გამორიცხულია. ქუთაისში არ ჩავალ. თუ დავბრუნდი, მხოლოდ რომელიმე თბილისურ კლუბში.

**— ჩემს მომავალზე „სპარტაკი“ იზრუნებსო, თქვი. აგენტი არ გყავს, ვინც სატრანსფერო საკითხს მოგიგვარებს?**

— არა და, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, რომ მყოლოდა.

**— „სპარტაკი“ ბევრს მოითხოვს საკომპენსაციოდ?**

— იმდენს, რამდენიც ჩემში თავის დროზე გადაიხადეს. თანხა ხომ უნდა ამოიღონ.

**— რომანცევის ხელში თამაში მუდმივად გიწევდა, ჩერნიშოვმა კი აგითვალწუნა, მხოლოდ ერთხელ გათამაშა, ისიც შეცვლაზე. არადა, რომანცევის ოთხკაციან დაცვაში არავისზე ნაკლები იყავი.**

— ჩერნიშოვიც ოთხი მცველით ათამაშებს გუნდს. არავისზე ნაკლებობას ვინ ჩივის, ძირითადს ახლოსაც არ მაკარებდა.

**— შენამდე „სპარტაკმა“ ტრანსფერზე არტიომ ბეზროდნი და სენეგალელი კებეც დააყენა, მაგრამ მათ შანსი კიდევ მისცეს. არ შეიძლებოდა, შენს მიმართაც ასე მოქცეულიყვნენ? გამორიცხულია, ტრანსფერიდან მოგხსნან?**

— აბა, რა გითხრა. ჩემი სათქმელი კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ვუთხარი, დანარჩენი თვითონ იციან.

**— რუსულ პრესაში დაიწერა, „სპარტაკმა“ აბრამიძის სანაცვლოდ 26 წლის არგენტინელი ლუჩანო ზავანო, ინგლისური „დერბი ქაუნთის“ უკანახაზელი შეიგულაო.**

— ჰო, მეც წავიკითხე. მასზე სხვა არაფერი ვიცი. არც ის ვიცი, რა შეუძლია.

**გიორგი ვაშაძიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰამბურგის ჰამბურგერი და ლუდის თასი

## მიირთვი ბაიერნი, მიაყოლე ბორუსია



„ჰამბურგის" კაპიტანმა ნიკო-იან ჰოოგმამ ხელი ლიგის თასით დაიმშვენა

### გერმანია

#### ლიგის თასის ფინალი

**დორტმუნდი 2:4 ჰამბურგი**

0:1 ჰოოგმა (2), 0:2 კარდოზო (12), 0:3 ტაკაჰარა (17), 1:3 ამოროზო (24პ), 2:3 კოლერი (61), 2:4 ბაინლიხი (68)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, შ. როიტერი (ო. ადო 70), ვიორნსი, მადუნი, დედე, რიკენი (ჯ. რეინა 66), დემელი (ოდონკორი 81), კელი, როსიცკი, ამოროზო, კოლერი

**მწვრთნელი:** მათიას ზამერი

**ჰამბურგი:** პიკენჰაგენი, იაკობსენი, ჰოოგმა, უიფალუში, რანი, მალტრიცი, ბაინლიხი (შლიკე 89), კარდოზო (ვიკი 59), მაჰდავიკია, ტაკაჰარა, ბარბარეზი (კლინგი 77)

**მწვრთნელი:** კურტ იარა

**გაფრთხილება:** დედე, დემელი, ვიორნსი, ჰოოგმა, რანი, მალტრიცი

**გაძევება:** ადო (90), კელი (90)

**მსაჯი:** აუსტი

16 700 მაყურებელი

„ჰამბურგის" ბოსებმა ავსტრიელ მწვრთნელ კურტ იარას ერთი კვირის წინ კონტრაქტი გაუხანგრძლივეს და არ შემცდარან. ჰამბურგელებს 1987 წელს გერმანიის თასის მოგების შემდეგ მსგავსი ჭურჭელი არ აღუმართავთ. ახლა ავსტრიელი თავკაცის ძალისხმევით გერმანიის ლიგის თასს დაეუფლნენ, რომელიც ლუდით გამოავლეს.

ეს ჯილდო, რომელიც ექვსი წლის წინ დააწესეს, ზედიზედ ოთხჯერ (1997-2000) მიუნხენის „ბაიერნმა" მიითვისა, შარშან და შარშანწინ კი ბერლინის „ჰერტამ" მოიგო. კურტ იარას შეგირდებმა ლიგის თასის მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში სწორედ „ჰერტა" და „ბაიერნი" დაამარცხეს, ხოლო ფინალში საგრძნობლად შესუსტებულ დორტმუნდის „ბორუსიას" სძლიეს.

ფინალური მატჩი მაინცში გაიმართა და 17 ათასი მაყურებელი შეკრიბა. დორტმუნდელების დასუსტებაზე ვთქვით და დავაზუსტოთ: ლონდონის „არსენალში" გადაბარგებული იენს ლემანის ნაცვლად კარში რომან ვაიდენფელერი ჩადგა, რომელსაც ჰამბურგელებმა გუნება მალევე წაუხდინეს. „ბორუსიას" ტრავმების გამო კაპიტანი კრისტოფ მეცელდერი, ტორსტენ ფრინგსი და ევანილსონი აკლდნენ. მათიას ზამერმა დაცვის ცენტრი კრისტიან ვიორნსს და მადუნის ჩააბარა, მაგრამ ამ წყვილმა საქმეს თავი ვერ გაართვა.

კურტ იარამ მხოლოდ ბერნარდო რომეო მოისაკლისა, ძირითადი შემადგენლობის დანარჩენი ფეხბურთელები კი მწყობრში იყვნენ.

„ჰამბურგი" დაწყებისთანავე მიაწყდა მეტოქის კარს. ვაიდენფელერმა ტაკაჰარას დარტყმული მოიგერია, მაგრამ უკვე წუთის შემდეგ ჰოოგმას თავურს ვერ მისწვდა. ნორვეგიელმა სერგი ბარბარესის ფლანგურ გარღვევას და ჩაწოდებას საგოლედ უთავაზა — 1:0.

„ბორუსიას" პირველივე საპასუხო შეტევა მოწინააღმდეგის საჯარიმოში ტომაშ როსიცკის წაქცევით დასრულდა. ჩეხი ამაოდ ელოდა მსაჯის სასტვენს და პენალტის ნიშნულისკენ გაშვერილ თითს. კიოლნელმა იურგენ აუსტმა თამაშის გაგრძელება ბრძანა.

მეთორმეტე წუთისთვის დორტმუნდელთა საჯარიმოსთან თავისუფალი დარტყმა დაინიშნა. რუდოლფო კარდოზომ ბურთი ბალახს თავის გემოზე მოარგო და ვაიდენფელერისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში ჩაასრიალა — 2:0.

„ბორუსია" მეორე გოლისგანაც არ არეულა. მეტოქის საჯარიმოს ესტუმრა და კოლერ-ამოროზო-რიკენის კომბინაცია პიკენჰაგენის კარში დარტყმით დასრულდა.

იენს ლემანის შემცვლელს ლემანობამდე ბევრი რომ უკლია, მესამე გოლისას გამოჩნდა. რომან ვაიდენფელერი კრისტიან რანის ჩაწოდებულ ბურთზე გამოსვლისას შეცდა და ნაოჰირო ტაკაჰარამ საჩუქარი შეირგო — 3:0.

„შავ-ყვითელთა" შეუპოვრობა ტაიმის შუაწელში დაფასდა. მალტრიცმა საჯარიმოში სებასტიან კელი საპენალტედ დასცა და იურგენ აუსტმაც ნიშნულზე მიუთითა. მარსიო ამოროზომ თერთმეტმეტრიანი დარტყმა უზადოდ შეასრულა. შესვენებამდე „ბორუსიას" მცველ აჰმედ მადუნის სხვაობის შემცირება შეეძლო, მაგრამ მის მცდელობას მარტინ პიკენჰაგენი გადაეღობა.

მეორე ნახევარში მათიას ზამერის შეგირდები გასათანაბრებლად უტევდნენ, „ჰამბურგი" კი თავს იცავდა და კონტრიერიშებზე გადაერთო. ვეება ჩეხმა იან კოლერმა თავისი სიმძლავრის ხარჯზე ერთი გოლი გაქვითა.

შვიდი წუთის შემდეგ ვაიდენფელერის სისუსტე ერთხელ კიდევ გამოჩნდა. კუთხურის ალამის სიახლოვედან შტეფან ბაინლიხმა ბურთი პირდაპირ „ბორუსიას" კარში ჩასვა.

დორტმუნდელების ყველა მცდელობა, თამაში გადაერჩინათ, ამაო გამოდგა. მათ მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ შეხვედრის ბოლო წუთზე მოედანზე ცხრანიღა დარჩნენ. ადომ და კელმა იურგენ აუსტს წითელი ბარათები დასტყუეს.

**გაგა ხუციშვილი**



# განცხრომილი

## ანდი მიოლერის სამოთხეში ფეხბურთის ადგილი არ არის

*მომავალ შაბათს ბუნდესლიგა ანდრეას მიოლერის გარეშე დაიწყება. „შალკეს" ყოფილ მოთამაშეს ფეხბურთი მოსწყინდა და 25 წლის სატრფო ზიგრიდთან ერთად მალიორკაზე დასვენებას აპირებს. პირველი ცოლის დანატოვარ შვილებს, ათი წლის ვალენტინას და შვიდი წლის კრისტინასაც კუნძულზე იახლებს. მიოლერი „ბილდმა" გამოიჭირა და მომავალზე ესაუბრა.*

**— ბურთი არ მოგენატრათ?**

— როგორ გეკადრებათ. უბურთოდაც კარგად ვარ. ყოველ სისხამ დილით „ზიგისთან" ერთად დღეს ვგეგმავ. გასულ კვირას „შალკეს" სტადიონზე გამართულ რობი უილიამსის კონცერტზე ვიყავით. იმის გაფიქრებაც კი, რომ ხვალ ვარჯიში არ მელის, ერთი სიამოვნებაა. ეს ცხოვრების ახალი საჩუქარია. თითქმის პენსიონერის მდგომარეობაში ვარ და ამით ვტკბები.

**— ზიგრიდმა ისე ჩაგითრიათ, რომ ფეხბურთის გაგონებაც აღარ გსურთ? ამერიკაში ან ყატარში წასვლას გამორიცხავთ?**

— არ ვმალავ, რომ უამრავი შემოთავაზება მივიღე. ყველა ჩემი მაგიდის იმ უჯრაში ჩავყარე და ჩავკეტე, რომელსაც ძალიან იშვიათად ვაღებ. როგორც მოთამაშე, ფეხბურთს აღარასოდეს დავუბრუნდები. ახლა მხოლოდ სახლში ჯდომა მსურს. აგვისტოს დასაწყისში მე და „ზიგი" დორტმუნდიდან საკურორტო ჰომბურგში, ჩემს იქაურ სახლში გადავალთ.

**— ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ყოფილ მეუღლესთან, მიხაელასთან განქორწინება ოფიციალურად მოგიწევთ?**

— ყველაფერი მოგვარდება. ჩემი პირადი ცხოვრების დეტალებში ცხვირის ჩაყოფას არ გირჩევთ.

**— გაყრის შემდეგ ზიგრიდზე დაქორწინდებით?**

— უახლოეს მომავალში არ ვაპირებთ. ვნახოთ, დორტმუნდში დაბადებული „ზიგი" ჰომბურგს როგორ შეეგუება.

**— ახლა, როცა ფეხბურთისგან თავისუფალი ხართ, ალბათ მენიუს შეიცვლით და წონაშიც მოიმატებთ.**

— წონაში მომატებისა და ფორმის შეცვლის არ მეშინია. თვრამეტწლიანი პროფესიული კარიერის მანძილზე მკაცრ რეჟიმში ცხოვრებას მივეჩვიე. ამჟამადაც ძველებურად ვვარჯიშობ და გოლფითაც ვერთობი, თუმც ვაღიარებ, რომ დიდი ვერაფერი სპორტია.

**— დასვენება კარგია, მაგრამ ფეხბურთს როდის დაუბრუნდებით?**

— როცა მწვრთნელის ლიცენზიას ავიღებ. ეს ალბათ მომავალ წელს მოხდება. ისე კი, მენეჯერის პროფესია უფრო მხიბლავს. მენეჯერობისას სულ მოძრაობ, საქმეში ხარ, რაღაცას ცვლი, რაღაცას აშენებ. ფეხბურთმა მომცა ყველაფერი. ვალდებული ვარ, ცოდნა უკან დავაბრუნო და სხვებს გადავცე.

**— ბუნდესლიგას ვინ მოიგებს?**

— ვფიქრობ, პირველობისთვის „ბაიერნი", დორტმუნდის „ბორუსია" და „შალკე" იბრძოლებენ.

*აქვე გთავაზობთ იმ ბუნდესლიგელთა ნუსხას, რომლებმაც კარიერა წინა სეზონის ბოლოს დაასრულეს*

| მოთამაშე | კლუბი | ასაკი |
| --- | --- | --- |
| კრასიმირ ბალაკოვი | „შტუტგარტი" | 37 |
| მარკ ვილმოტსი | „შალკე" | 34 |
| ფრანკ გრაინერი | „ვოლფსბურგი" | 37 |
| ბერნდ დრეერი | „ბაიერნი" | 36 |
| უვე კამპსი | „მიონხენგლადბახი" | 39 |
| ულფ კირსტენი | „ლევერკუზენი" | 37 |
| კარსტენ ლინკე | „ჰანოვერი" | 37 |
| გეორგ პოპესკუ | „ჰანოვერი" | 35 |
| მიხაელ პრეეცი | „ჰერტა" | 35 |
| ეიოლფურ სვერისონი | „ჰერტა" | 34 |
| იენს ტოდტი | „შტუტგარტი" | 33 |
| დავორ შუკერი | „მიუნხენ 1860" | 35 |



რუდოლფო კარდოზოს საგოლე საჯარიმო

# ჩინელი დედები და დის ბინტი

## დევიდ და ჯოან ბექემების ახალი მეგობრები



„რეალის" სანახავად ჰონკონგელებმა თადარიგი აქედანვე დაიჭირეს

*„რეალი" ჰონ კონგში მომდევნო კვირაში ითამაშებს, 8 აგვისტოს, მაგრამ ასობით ჰონკონგელი უკვე ათენებს ქალაქის სტადიონთან ღამეებს — მათ ბილეთები უნდათ. ზოგი მათგანი, თურმე, კვირასვე მისულა ნაგებობასთან, გუშინ დილით კი რიგში უკვე 400 კაცი იდგა. ამ ადამიანებს ქოლგები და ტენტები აქვთ მომარჯვებული. ისინი დღეს, 30 ივლისს ელიან ცნობას იმის თაობაზე, თუ როდის დაიწყება ბილეთების გაყიდვა, თუმცა ბევრი მათგანი ამბობს, რომ ყველაფრის მიუხედავად გაძლებს და ფეხს არ მოიცვლის. აი, მაგალითად, რა განაცხადა ერთმა 17 წლის ყმაწვილმა:*

*„დავიღალე. ღამეების თენებამ უკვე მომკლა, მაგრამ რაგინდ უძილო ვიყო, ზიდანის, რონალდოს და ასეთი ხალხის ნახვის საშუალებას ხელიდან არ გავუშვებ"*

საინტერესოა, რომ რიგში დედებიც დგანან. დიახ, ჩინელი ქალბატონები შვილებისთვის ათენებენ ღამეებს და ხელში „მაჰიონგის" ეკრანები უჭირავთ, აბა, თავი რამეთი ხომ უნდა შეიქციონ.

ცნობისათვის: ეს „მაჰიონგი" თამაშია — ნაირ-ნაირი, ციფრებიან-ნახატებიანი ბანქოს ქაღალდები რთულ პირამიდასავითაა აწყობილი, მოთამაშემ კი ერთნაირების მოძებნით და ერთმანეთზე დაწყობით წყვილ-წყვილად უნდა გააქროს ყველა, ისე, რომ ბოლოსაც ორი ერთნაირი (ვთქვათ გულის შვიდიანები ან წითელი დრაკონები) დაურჩეს და საბოლოოდ გაიმარჯვოს!

აი, ასე თამაშობენ ჩინელი დედები „მაჰიონგს", ბილეთი კი 64 დოლარიდან ზევით ეღირება და თან, დაახლოებით 40 ათასი ადგილი ჰონკონგის ფეხბურთის ასოციაციას აქვს დაჯავშნული.

რაც შეეხება იმას, რომ ქალაქი „რეალის", მეტადრე კი დევიდ ბექემის 23-ნომრიანი მაისურებითაა მოფენილი და სხვა ატრიბუტიკაც მრავლად იყიდება, ზედმეტად აღარ გავიმეორებთ.

სამაგიეროდ, გავიმეორებთ, რომ დევიდ ბექემმა გუნდი გამოიცვალა, ხოლო ამას იმიტომ ვიტყვით, რომ ლამაზად მივაბათ: დევიდ ბექემის დამ, ჯოანმა კაცი გამოიცვალა. აი, ასეთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი ჩაფრინდა ბრიტანეთის კუნძულებიდან, სადაც გაარკვიეს, რომ ჯოან ბექემმა ახალი ბოიფრენდიც ფეხბურთელთა წრიდან შეირჩია.

შეარჩია და ძალიან კარგი. ასე ვთქვათ, თამაშიდან გასული ვესტჰემელი ჯერმენ დეფოს ნაცვლად ჯოანის ცხოვრებაში შევიდა იფსვიჩთაუნელი მარკუს ბინტი. დავძინოთ, რომ მარკუსი და ჯოანი თვითმხილველს ლონდონის „შუგარ რიფ კლაბში" უნახავს და დაკვირვებია, რომ ისინი ვითომ ცეკვავდნენ, სინამდვილეში კი ამ ჭიპხახუნას ცეკვა ყველაზე ნაკლებად ერქვაო.

ჩვენ კი არ უნდა შეგვეშალოს, რომ ჯოანი ბექემის უმცროსი დაა და არა უფროსი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერმენ დეფომ ენერგიის ჯოანზე ხარჯვას ვარჯიშებზე ხარჯვა ამჯობინა, მარკუს ბინტი კი, ალბათ ასე არ მოიქცევა, ოღონდ, დანამდვილებით ეცოდინება, რომ ქალი მის თამაშებზე არ ივლის, რადგან ის ძმის თამაშების გიჟია.

და გიჟები კიდევ ათასი ჯურისანი გახლავან. მაგალითად, ზოგმა რომ გაიგო, კარლუშ კეიროშმა ჩინელ დრაკონებთან შეხვედრისთვის დევიდ ბექემის მარჯვნივ დატოვება და ლუიშ ფიგუს მარცხნივ გადაყვანა გადაწყვიტაო, ერთი ამბავი ასტეხა, თუმცა ეს იმდენად გიჟობა არ არის, რამდენადაც კომერციული ხმაური. აი, ფიგუს და ბექემს კი ნერვების მოთოკვა ნამდვილად მოუწევთ.

მოვიტანოთ რამდენიმე ციტატა ფიგუს პრესკონფერენციიდან, ოღონდ დავძინოთ, რომ პორტუგალიელმა ესპანელ ჟურნალისტებს ბექემზე საუბარზე უარი უთხრა. უცხოელებთან კი დიპლომატიას მიმართა:

„კარიერაში სხვადასხვა პოზიციებზე მითამაშია და ჩემი როლი ყოველთვის გუნდის ინტერესებს ეფუძნებოდა, ასე რომ, ცვლილებების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩემსა და ბექემს შორის კი მეტოქეობა ვერ იქნება, რადგან ერთ გუნდში ვართ და ერთი მიზნისთვის ვიბრძვით".

მაგრამ, როდესაც ფიგუს ჰკითხეს, თუ როდის დაუმეგობრდა ბექემს, მისი ესპანური პასუხი კი თარჯიმანმა ინგლისურად ასე თარგმნა: „როდესაც გავიგე, რომ ბექემი „რეალში" გადმოდიოდა, გამიხარდა, რადგან ის მაღალი დონის ფეხბურთელია" — პორტუგალიელი გაღიზიანდა.

„რატომ არ თარგმნით ზუსტად, რასაც ვამბობ?" — გაწყრა ფიგუ და თავად განაგრძო ინგლისურად:

„ახალ გუნდში ყველა ცდილობს ბექემს კარგად მოექცეს. მე ინგლისურის გამო, ალბათ, ცოტა უფრო მეტს ველაპარაკები, მაგრამ ვიმეორებ, მის მიმართ ყველა სითბოს ამჟღავნებს".

მას ჰკითხეს, მოეწონა თუ არა ბექემის ვარჯიში, რაზეც ფიგუმ უპასუხა:

„მე მწვრთნელი არ გახლავართ და თანაგუნდელების შეფასება ჩემი საქმე არ არის. ჟურნალისტები თავად ნახავთ ყველაფერს და აზრიც თქვენი შეგექმნებათ".

**ბაჩუნა ძიდია**



ლუიშ ფიგუმ დევიდ ბექემის თარჯიმანობა იკისრა





ჯოან ბექემმა ჯერმენ დეფოს მარკუს ბინტი არჩია



# მოპარული შოუ

## საქმეში მნახეთ, ექიმო

გრძელდება „მანჩესტერ იუნაიტედის" მოგზაურობა შეერთებულ შტატებში. სიეტლში გლაზგოს „სელტიკის" ძლევის შემდეგ გუნდი ლოს ანჯელესში ჩაფრინდა და იქ შეხვდა მექსიკურ „კლუბ ამერიკას", რომელსაც 3:1 მოუგო. თამაშს 57 ათასი მოსეირე დაესწრო, ყველაზე დიდი ტაში კი რაიან გიგზმა დაიმსახურა, რომელიც მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. საერთოდ, გიგზი მრავლად იძლევა ინტერვიუებს და ყველას უამბობს, თუ როგორ უსტვინეს „ოლდ ტრეფორდზე" იანვარში, რაც მისი თორმეტწლიანი მანჩესტერული კარიერის განმავლობაში იქამდე არასოდეს მომხდარა. ცუდ ფორმაში ყოფნამ კლუბს ჩემი გაყიდვაც გადააწყვეტინა, უთხრა გიგზმა ჟურნალისტებს, თუმცა, ამჟამად ყველაფერი რიგზეაო.



რაიან გიგზი (მარჯვნივ) ერთ-ერთი საუკეთესო იყო

გიგზი მშვენიერ ფორმაშია, თუმცა, მოედანზე შესულიც არ იყო, რომ რუუდ ვან ნისტელროიმ და დიეგო ფორლანმა შოუ მოპარეს — მეორე ტაიმის პირველ სამ წუთშივე გაიტანეს თითო გოლი. ამას ფორლანმა მერე კიდევ ერთი მიუმატა. ერთადერთი საპასუხო ბოლოსლა შეაგდო კრისტიან პატინომ.



რუუდ ვან ნისტელროოი

აქვე ითქვას, რომ ამ თამაშს ესწრებოდა განთქმული ქირურგი რიჩარდ სტუიდმენი, რომელიც პირადად ვან ნისტელროის დაუპატიჟია თამაშზე. ამით ჰოლანდიელს ერთგვარი მადლობა უთქვამს ექიმისთვის, რომელმაც მას მუხლი გადაურჩინა სამი წლის წინათ.

**ირაკლი გამყრელიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ალბათ, ჩაო, რობერტო! ლაციომ პერუცი დაიფიცა

„ლაციო“ დაჟინებით ამტკიცებს, რომ მეკარე ანჯელო პერუცი მასთან დარჩება, არადა, ვეტერანი გოლკიპერი ცალი თვალით უკვე ლომბარდიისკენ, კერძოდ „ბრეშასკენ“ იყურებოდა. ამ საკითხის გამო რომაელთა გენერალურმა დირექტორმა, ლუკა ბარალდიმ განაცხადა:

„პერუცი არ იყიდება, ვინაიდან ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი წევრია“.

„ბრეშა“ კი ახალი მეკარის ძიებაშია, რადგან მატეო სერენიმ გუნდი დასტოვა — ის ჯერ „იფსვიჩში“ დაბრუნდა, მერე კი „ლაციოში“ გადავიდა. „სტადიო ოლიმპიკოზე“ სწორედ მისმა გადასვლამ აალაპარაკა ხალხი პერუცის საპირისპირო მიმართულებით წასვლის შესახებ.

პერუცის გარდა, ბარალდის განცხადებით „ლაციოში“ დარჩებიან იაპ სტამიცა და დეიან სტანკოვიჩიც.

„გვწამს, სტანკოვიჩი ჩემპიონთა ლიგაში „ბენფიკასთან“ თამაშის წინ ახალ ხელშეკრულებაზე მოაწერს ხელს, ხოლო სტამი ის თემაა, რომელზე ლაპარაკიც არ მსურს. ის რომ წავიდეს, მეც მივდივარ, რადგან ქომაგებს გარკვევით აღვუთქვი, რომ მას არსად გავუშვებდი“ — განმარტა ბარალდიმ.

ხოლო იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა, რომელსაც ახლა „პარმა“ ჰყიდის, მანამდე კი „პერუჯასა“ და „რომაში“ თამაშობდა, „ლაციოს“ მწვრთნელის, რობერტო მანჩინის თურმე არ მოსწონს.

„ის საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენი მწვრთნელის გეგმებში არ არის — განაცხადა რომაელთა პრეზიდენტმა უგო ლონგომ — ამის მიუხედავად ბაზარზე მაინც აქტიურად ვრჩებით. ამწუთას მხოლოდ გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა შეაჩერეს მოლაპარაკებები „უდინეზესგან“ დავიდ პიზაროს, მარტინ იორგენსენის და ალბერტოს ყიდვის გამო“.

დიდი იტალიელი, რობერტო ბაჯო კი ერთხელაც ამბობს, რომ ეს სეზონი მისი პროფესიული კარიერის ბოლო სეზონს ჰგავს.

„ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერი მაქვს, რადგან ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული თუ რა მოხდება მომავალ თვეებში და მაინც, მგონი, ეს სეზონი ბოლო უნდა იყოს“ — ასეთი რამ თქვა 36 წლის ვარსკვლავმა იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მოგეხსენებათ, ბაჯო ზემოხსენებულ „ბრეშაში“ თამაშობს, ამ ზაფხულს კლუბთან ერთწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი, მაგრამ ლომბარდიელმა ქომაგებმა ჯერ დაზუსტებით მაინც არ იციან, რამდენ ხანში მოიშუშებს ლეგენდა მუხლის მცირე ოპერაციის კვალს.

ცნობისთვის: ბაჯო კარიერაში მე-18 ჩემპიონატისთვის ემზადება.

„ვერ გეტყვით, როდის ვიქნები მზად — თქვა ბაჯომ — ვნახოთ, ერთი კვირის შემდეგ ჩემს მუხლს ტესტებზე რა რეაქცია ექნება“

როდესაც ფეხბურთელი, მით უფრო დიდი ფეხბურთელი სპორტიდან მიდის, ყოველთვის ეკითხებიან, აპირებს თუ არა მწვრთნელობას.

„დღეს მხოლოდ თამაშზე ვფიქრობ და მეტი არაფერი მაინტერესებს“ — უპასუხა „ფიორენტინას“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „ინტერის“ და „ბოლონიას“ ყოფილმა ვარსკვლავმა.

„ინტერმა“ კი პორტუგალიელ სერჟიო კონსეისაუსთან კონტრაქტი გააუქმა და ამიერიდან ეს ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია.

„ვფიქრობ, ხელშეკრულების გაბათილება საუკეთესო გამოსავალი იყო, როგორც კლუბისთვის, ასევე ჩემთვის“ — განაცხადა 28 წლის ნახევარმცველმა, რომელიც „ინტერში“ „ლაციოსა“ და „პარმას“ შემდეგ 2001 წელს მივიდა და 42 თამაში ჩაატარა.

ამბობენ, რომ შესაძლოა ლუიჯი დი ბიაჯოს კონტრაქტიც გაუქმდეს. რადგან „შავ-ლურჯების“ მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა განაცხადა, რომ ეს ნახევარმცველი აღარ სჭირდება.

**ბაკურა ძედია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტო ბაჯო



ანჯელო პერუცი



სერჟიუ კონსეისაუ



ჰიდეტოში ნაკატა

# ბატიგოლები ჩვენს გულებში ძიჩმაჩი ფიორე ბატისტუტას თანამდებობას სთავაზობს

*ერთდროს ბრწყინვალე არგენტინელი გაბრიელ ომარ ბატისტუტა, სავარაუდოდ, სამი წლის შემდეგ ფლორენციის „ფიორენტინაში“ დაბრუნდება. 90-იანი წლების სერია A-ს კიდევ ერთი ვარსკვლავი დინო ბაჯო კი სამშობლოს დატოვებას და ინგლისში გადაბარგებას აპირებს*

ბატისტუტამ „ფიორენტინაში“ 9 წელი გაატარა და მრავალი დაუვიწყარი წამი აჩუქა ფლორენციელებს და არა მარტო მათ. იგი გახდა სერია A-ს ბომბარდირი და მოიპოვა სხვა ჯილდოებიც. „ბატიგოლმა“ კლუბთან ერთად სხვა წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა სკუდეტო ვერ მოიგო.

არგენტინელი ფლორენციაში ისე შეუყვარდათ, რომ ძეგლიც კი დაუდგეს, რომელიც მერე მოიპარეს, მაგრამ ამით მის სახელს არაფერი დაჰკლებია.

და მაინც, მას მოუხდა „ფიორენტინას“ (რომელიც მერე ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა და სერია C-ში დაქვეითდა) დატოვება და „რომაში“ გადასვლა. დედაქალაქურ კლუბთან ერთად გატარებულ პირველსავე სეზონში მან ნანატრი სკუდეტო მოიპოვა. ამის შემდეგ ვეტერანმა არგენტინელმა ცოტა ხანს „ინტერშიც“ ითამაშა (გაანათხოვრეს) და საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერა ყატარში დაესრულებინა.

ამჟამად იგი ყატარის „ალ-არაბის“ ღირსებას იცავს და სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს კლუბთან. მერე კი „ფიორენტინაში“ დაბრუნდება და კლუბის ერთ-ერთი მოხელე გახდება.

აი, რა უთხრა „ფიორენტინას“ ვიცე-პრეზიდენტმა ანდრეა დელა ვალემ „გაძეტა დელო სპორტს“: „მე ვესაუბრე გაბრიელს და დარწმუნებული ვარ, რომ სამი წლის მერე იგი ფლორენციაში დაბრუნდება. ბატისტუტა და კიდევ ერთი ვეტერანი, ანჯელო დი ლივიო გარკვეულ თანამდებობებს დაიკავებენ კლუბში“.

როგორც ხედავთ, „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობამ არც გუნდის ერთგული ანჯელო დი ლივიო დაივიწყა და გადაწყვიტა, ფლორენციელი გულშემატკივრების კიდევ ერთი საყვარელი მოთამაშე კლუბში დატოვოს.

რაც შეეხება დინო ბაჯოს, აქ საქმე ცოტა სხვაგვარად არის. უბრალოდ, მას კონტრაქტი დაუმთავრდა რომის „ლაციოსთან“ და ამჟამად თავისუფალი აგენტია. 32 წლის ვეტერანმა შესაძლოა, სამშობლო დატოვოს და პრემიერლიგაში წლეულს დაბრუნებულ „ვულვერჰემპტონს“ შეუერთდეს.

ბაჯო ინგლისური კლუბის უფროსობასთან შეხვედრას აპირებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებს.

**გიორგი ძაძაბაძე**




გაბრიელ ომარ ბატისტუტა

*რომან აბრამოვიჩმა „ჩელსის“ აქციების სრულად შესყიდვა მოინადინა და იყიდა კიდეც. ამჟამად იგი აქციათა 94 პროცენტს ფლობს და ლონდონური კლუბი ფაქტობრივად მის საკუთრებად იქცა*

# ჰმარა რომანშჩინა, ვიფიქროთ ფეხბურთზე!

## ეს გნიასი და რია-რია კარგს არ დაგვმართებს, შიშობენ ჩელსელები

რომან აბრამოვიჩმა კლუბის ვალების გასტუმრების სურვილი მალევე გამოთქვა (გაუჭირდებოდა თუ?). არადა, ვადა 2007 წლამდე ჰქონდა. მან 122 მილიონი დოლარი გაიღო და „ჩელსი ვილიჯი“ მიითვისა.

ჯერჯერობით მილიონერის ფულმა გუნდი ოთხი ახალი ფეხბურთელით გაამდიდრა: დამიენ დაფი, ჯერემი ნჯიტაპი, უეინ ბრიჯი და გლენ ჯონსონი. მათ გარდა უამრავი ფეხბურთელის შეძენაზე საუბრობენ. არისტოკრატიულ უბანში ვიერას და ვერონის გვარებს ხშირად ახსენებენ.

ორ კვირაში პრემიერლიგა იწყება, გაუთავებელი ვაჭრობა, სავარაუდო ტრანსფერები და ეს აყალმაყალი კი, როგორც ჩანს, „ჩელსის“ ზოგიერთ ფეხბურთელს მობეზრდა. ფრენკ ლამპარდმა და იესპერ გრონკიაერმა უკვე წუწუნი დაიწყეს.

ლამპარდი: „ასეთი ვითარება გუნდზე უარყოფითად მოქმედებს. სულ ვიღაცის მოსვლას ველით. ხან გადმოდიან, ხან ვერა. დაუსრულებელი ჭორაობა გუნებას გვიფუჭებს. მალე ჩემპიონატი დაიწყება და უკეთესი იქნება, შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვეს და ყველამ თავის საქმე და ადგილი გაიგოს. ასეთ ვითარებაში ფეხბურთზე კონცენტრირება ძალიან ძნელია.“



რომან აბრამოვიჩი

თანაგუნდელს გრონკიაერიც დაეთანხმა: „თუ დროულად არ მოვწესრიგდით და დავლაგდით, „ჩელსის“ პრემიერლიგაში დიდი პრობლემები შეექმნება“.

**მაშა ხუციშვილი**

# რა შვებულება, რის შვებულება!

*„ბენფიკას“ მწვრთნელს, ესპანელ ხოსე ანტონიო კამაჩოს ეს ზაფხული განცხრომით არ გაუტარებია. მართალია, ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლისა და ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ჩაჯდომისთვის კამაჩოს ალბათ ერთი-ორი კვირა მაინც ეკუთვნოდა მხართეძოზე წამოსაწოლად, მაგრამ სხვანაირად მოხდა*

„პორტუგალიის პირველობა 1 ივნისს დასრულდა, 4 ივნისს კი უკვე მომდევნო სეზონის გეგმაზე ვმუშაობდი“ — თქვა ესპანეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა.

48 წლის კამაჩოს წინ განა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისა და იქ შეძლებისდაგვარად წინსვლის ამოცანა აწევს ბეჭებზე (ნუ დავივიწყებთ, რომ „ბენფიკას“ მესამე შესარჩევ ეტაპზე ძნელად დასაძლევი მეტოქე, რომის „ლაციო“ შეხვდა), არამედ პორტუგალიის ჩემპიონატშიც ერთობ სერიოზულად აქვს საქმე გამოსასწორებელი — სეზონში „პორტუს“ შეურაცხმყოფელი 11 ქულით ჩამორჩა. ერთი სიტყვით, ჟოზე მაურინიუს გუნდი ის მიზანია, რომელიც „ბენფიკამ“ უნდა წააქციოს, მაგრამ აქ დამნაშავე მხოლოდ მწვრთნელი და ფეხბურთელები არ არიან.

„დღეს ლისაბონელები ფინანსურ კრიზისში არიან — განმარტავს კამაჩო — კლუბში რესტრუქტურიზაცია მიმდინარეობს, ასე რომ, ჩვენი ამოცანა ფეხბურთელების შენარჩუნება გახლდათ. ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვჭირდება, რომლებიც შემდგომ სეზონში ჯერ კიდევ ახალგაზრდები იქნებიან, თუმცა ოსტატობა და სიბრძნეც შეემატებათ“.

როგორც მოგახსენეთ, „ბენფიკას“ მიზანი „პორტუს“ ჯობნაა, რასაც კამაჩოც არ მალავს.

„მუხლჩაუხრელი შრომით ჩვენ „პორტუს“ გასწრებას შევძლებთ — ამბობს ის — გასულ სეზონში „პორტუ“ დიდებულად თამაშობდა, წლეულს კი ოთხი-ხუთი ფეხბურთელი დაიმატა და კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ ფონზე ჩვენ საკუთარი ძალები უნდა ვირწმუნოთ, მოვინდომოთ და ღირსება არ შევილახოთ“.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ეს სწორედ ის შეჯიბრებაა, რომლის გულისთვის შვებულებაზე უარის თქმა ნამდვილად ღირს.

„ამწუთას მთავარი, რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგაა. ხომ ხედავთ, პირველივე შეხვედრა უდაძაბულესი გვერგო. არადა, მიზნად ჯგუფში მოხვედრა გვაქვს დასახული, რადგან „ბენფიკა“ ის გუნდია, რომელსაც უამრავი ქომაგი ჰყავს და დიდ წარმატებებს სთხოვენ“.

თუმცა, ესპანელი მწვრთნელისთვის აშკარაა, რომ პორტუგალია დღეს, ყველაზე მეტად, ევრო 2004-ის მასპინძელი ქვეყანაა. კამაჩო ევროპის პირველობის მოლოდინსა და მისთვის მზადებას თვალს ახლოდან ადევნებს.

„ეჭვი არ მეპარება, რომ პორტუგალიელები ჩემპიონატში დიდ



ხოსე ანტონიო კამაჩო

წარმატებასაც მიაღწევენ და თავად ჩემპიონატიც დიდებული იქნება — ამბობს იგი და იმედოვნებს, რომ მისი თანამემამულენიც გამოიჩენენ თავს ამ შეჯიბრებაში“. „თუ ესპანეთის ნაკრები შესარჩევ ტურნირს თავს გაართმევს, ჩემპიონატზე დიდი მხარდაჭერა ექნება, რადგან ქვეყნები ერთმანეთთან ასე ახლოა. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პირველად გაივსება ტრიბუნები ესპანელებით (82-ში ჩემპიონატი ესპანეთში ჩატარდა) და, ფაქტობრივად, ფეხბურთელები თავს მასპინძლებად იგრძნობენ, ცხადია, პორტუგალიელების შემდეგ. შეუძლებელია, ამან დიდი სამსახური არ გაგვიწიოს“.

თუმცა ევრო 2004 ერთი წლის შემდეგაა, მანამდე კი კამაჩოს „ბენფიკას“ და მთელ ევროპას სხვა ბევრი საფეხბურთო თავგადასავალი ელის და ერთ-ერთი მათგანი ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპია.

**პაპუნა ძიდია**

*მართალია, როი მაკაი ჯერ მიუნხენის „ბაიერნში“ არ გადასულა, მაგრამ გალისიურმა „დეპორტივომ“ მისი სავარაუდო შემცვლელი უკვე გამოძებნა. ვალტერ პანდიანი, რომელიც წინა სეზონში „მალიორკაში“ თამაშობდა, ესპანეთის სამეფო თასის მოგების შემდეგ კვლავ ლაკორუნიაში დაბრუნებას აპირებს*

# პანდიანი — ირურეტა: შერიგება მორიგებამდე

გალისიელთა ბასკმა დამრიგებელმა ხავიერ ირურეტამ რამდენიმე დღის წინ თქვა, მაკაის გუნდიდან წასვლის შემთხვევაში ურუგვაელი თავდამსხმელი „დეპორის“ ძირითადში აუცილებლად ითამაშებსო. პანდიანი ახლა ვილალბაში იმყოფება, იქ, სადაც გალისიური კლუბი ემზადება. ურუგვაელი ლაკორუნიაში საქმიანობის პერსპექტივით გახარებულია, თუმც მისი სამომავლო გეგმები მხოლოდ ხავიერ ირურეტას გუნდში თამაშით არ ამოიწურება. „ირურეტა წინა ხაზზე ხშირად მხოლოდ ერთ თავდამსხმელს ათამაშებს, ამიტომაც ამდენი შემტევი მობურთალი გუნდში ვერ დარჩება. მაკაის სატრანსფერო ამბების გასრულებას მოვუცადოთ. ამ სეზონში „დეპორში“ თუ დავრჩები, შესანიშნავი იქნება, თუ არადა სხვადასხვა შემოთავაზებები უკვე მაქვს — აქედან სამი ესპანური, მაგრამ ახლა „დეპორტივოში“ ყოფნა ჩემთვის ყველაზე სასურველია“ — აღნიშნა პანდიანიმ. ოკეანისგადაღმელ ლეგიონერს ხავიერ ირურეტასთან ადრე უთანხმოება ჰქონდა, რაც, მისი თქმით, უკვე წარსულს ჩაბარდა და გასახსენებლად არ ღირს. „უკვე ვისაუბრე ხავიერთან და მისი ჩემდამი გულისხმიერებით მეტად კმაყოფილი ვარ. ირურეტასთან კონფლიქტი ძველი და ჩამთავრებული ამბავია და მეტი არაფერი. მინდა, „დეპორში“ დავბრუნდე, რაც ევროპულ სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას მომცემს“ — უთხრა ჟურნალისტებს ურუგვაელმა.

ამასობაში პანდიანის ყოფილი გუნდი მომავალი პრიმერასთვის გამალებით ემზადება. ორშაბათს ჟაიმე პაშეკუს „მალიორკა“ საბრძოლო შემადგენლობით შეიკრიბა. წინა სეზონთან შედარებით ცვლილებები საგრძნობია — ტურუ ფლორესი (ვისთანაც კლუბის უფროსობამ კონტრაქტის განახლება მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა), ლოსანო (მექსიკურ ლიგაში გადავიდა), ანხელი (კარიერას „ოვიედოში“ გააგრძელებს) და ვალტერ პანდიანი (უკვე ნახსენები მიზეზების გამო) კუნძულებზე აღარ ითამაშებენ. ერთადერთი ახალი შენაძენი ხესუს პერერაა, „ალბასეტესა“ და სეგუნდა დივიზიონის ყოფილი მეგოლე. „მალიორკასთან“ თანამშრომლობას აგრძელებენ არიელ იბაგაზა და სამუელ ეტოო. თუმცა ადვილი მოსალოდნელია, ეს უკანასკნელი, ლონდონელი ფანების სასიხარულოდ, „ჩელსიში“ გადავიდეს. ინგლისელები მზად არიან, კამერუნელ ლეგიონერში 20 მილიონი ევრო გადაიხადონ.

**ლადო ხომერიკი**



ვალტერ პანდიანი და სამუელ ეტოო თანაგუნდელები აღარ იქნებიან: ურუგვაელი „დეპორტივოში“ ბრუნდება, კამერუნელს „ჩელსი“ ეპატიჟება

# ფლავიო ჩაიშალა, მაკარონე დაიმტვრა
## კონსეისაო დორტმუნდს ერგო



ფლავიო კონსეისაო ერთი წლით „დორტმუნდისთვის“ გაირჯება

გასაყიდად გამოფენილი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთაგან ერთი, ფლავიო კონსეისაო, ინგლისურ „მიდლსბროს“ ეწადა. ჯერემი ნჯიტაპის „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ „ბორო“ კვლავ ნაცნობ გზას დაადგა და ისევ მადრიდელი ფეხბურთელის წაყვანა სცადა. ინგლისელები „სამეფო კლუბთან“ ვერ მორიგდნენ, მათ სურდათ, ბრაზილიელი იჯარით აეყვანათ.

ეს გარიგება ჩაიშალა და მიდლსბროელები ახლა მილანის „ინტერს“ სტეფან დალმასთვის მიადგნენ. „ვადასტურებ, რომ დალმას თაობაზე ოფიციალურად მოგმართეს. ფრანგი ფეხბურთელით კიდევ რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული“ — თქვა „ინტერის“ სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანკამ.

„ბოროს“ იტალიელმა ფორვარდმა მასიმო მაკარონემ შარშანდელი სეზონის დასაწყისში საკმაოდ შედეგიანად ითამაშა, მაგრამ მერე ნელ-ნელა უკლო. ამ ზაფხულს, მოსამზადებელ შეკრებაზე, მაკარონე ფორმაში ჩადგა, გოლებიც გაიტანა, მაგრამ ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში დაშავდა. ექიმების დასკვნით, იგი პრემიერლიგის საწყის ტურებს უეჭველად გამოტოვებს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება თავდამსხმელის სრულად გაჯანმრთელებას. „სამწუხაროდ, მაკარონე დაშავდა — სინანულით აღნიშნა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა — ეს ძალიან ცუდი ამბავია, რადგან სეზონისწინა მატჩებში ძველებურად შედეგიანად ათამაშდა. ახლა მხოლოდ ექიმების იმედზე ვართ“.

რაც შეეხება ფლავიო კონსეისაოს, მადრიდის „რეალმა“ „მიდლსბროზე“ უკეთესი მოიჯარე გადამხდელი ნახა — დორტმუნდის „ბორუსია“. დორტმუნდელებს დაშავებული ტორსტენ ფრინგსის შემცვლელი სჭირდებოდათ და კიდეც მიაგნეს. კონსეისაო „შავყვითლებს“ ერთი წლით შეეკედლება.

**გაგა ხუციშვილი**

# ვიზუალურად კარგია
## ამერიკამ კლუივერტიც ისტუმრა
## რიკელმეს ბომბონერა ეძახის



პატრიკ კლუივერტი დღე-დღეზე ამერიკაში ჩავა

რობერტ ენკეს „კამპ ნოუზე" მეკარეობის დრო-ჟამი დასასრულს მიუახლოვდა. გერმანელი მეკარის შემდგომი გუნდი თურქული „ფენერბაჰჩე" იქნება. კატალონიურ-ოსმალური კონტრაქტი თითქმის საბოლოოდ გაფორმებულია და, მალე თურქულ კლუბში თურქი რუშთუს ადგილს ბარსელონელი ენკე დაიკავებს.

პრიმერადივიზიონის გრანდში მისი კარიერა წარუმატებელი გამოდგა — ენკე ოდენ სათადარიგოთა სკამს ძმაკაცობდა. ამჟამად ერთი სეზონით ითამაშებს „ფენერბაჰჩეში", შემდეგ კი „ბარსაში" დაბრუნდება, ან კიდევ სხვა რომელიმე გუნდს გამოძებნის. უკვე ექსბარსელონელი მეკარე ფორმის შესანარჩუნებლად გამალებით ვარჯიშობს „კამპ ნოუზე" იმ მცირერიცხოვან მოთამაშეთა ჯგუფთან ერთად, რომლებიც „ბარსას" ამერიკულ ტურნირზე ვერ გაჰყვნენ.

„ძნელია სრული დატვირთვით ვარჯიში, როდესაც გარშემო ასე ცოტა ხალხია, თუმცა ეს კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგია, რასაც მე პატივს ვცემ. გარდა ამისა, ფორმის შესანარჩუნებლად ხომ უნდა ვიზრუნო" — განუცხადა ენკემ კატალონიურ „სპორტს".

„ბარსას" ამერიკულ ტურნირში არ მონაწილეობს არგენტინელი ხუან რომან რიკელმეც. არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტის გამო იგი მომავალ პრიმერაში კატალონიის მთავარ გუნდში ვეღარ ითამაშებს. ამ ბოლო დღეების განმავლობაში ბევრს ლაპარაკობდნენ რიკელმეს აგენტებისა და მექსიკური „კრუზ ასულის" წარმომადგენელთა შეხვედრებზე, სადაც პატაგონიელის იქაურ ლიგაში გადასვლის ამბავი განიხილებოდა. ორშაბათს კი გაირკვა, რომ სავსებით შესაძლებელია, ფეხბურთელი მშობლიურ „ბოკა ხუნიორსსაც" დაუბრუნდეს. ამ ცნობამ „ბომბონერაზე" შეკრებილ არგენტინელ ინჩასთა შორის დიდი აღტაცება გამოიწვია. „ბოკას" მომავალ აპერტურაში რიკელმეს დონის მობურთალი ნამდვილად დასჭირდება. გუნდის თავკაცებს კი არ დაუფარავთ, რომ „ბარსელონას" ყოფილ მე-10 ნომერთან საქმიანი საუბრები ჰქონდათ.

ამერიკაში მყოფ კატალონიურ გრანდს, მოგეხსენებათ, ამ დღეებში პატრიკ კლუივერტი ოდენ ოკეანისგადაღმა ეგულებოდა. მიზეზი აშშ-ის კანონმდებლობის სიმკაცრეა. ამერიკის კანონებით, იქ მოსახვედრად ნასამართლევმა უცხოელებმა საგანგებო ვიზა უნდა აიღონ. საქმე ისაა, რომ 1995 წელს კლუივერტს ავტოავარია მოუხდა, რომლის შედეგადაც ადამიანი დაიღუპა. მაშინ ჰოლანდიელი მობურთალი დახელოვნებულ ადვოკატთა მეშვეობით პატიმრობას გადაურჩა. ბოსტონის აეროპორტში კი ზემოთ ნახსენები ცნობის უქონლობის გამო იქაურმა მესაზღვრეებმა უკან, ბარსელონაში დააბრუნეს. პატრიკი იძულებული გახდა, მადრიდში ჩასულიყო და იქ, ამერიკის საელჩოში, ხანგრძლივი ბიუროკრატიული ომები გადაეხადა. საბოლოოდ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და სანუკვარი ცნობით აღჭურვილი ბარსელიმავრი დღეს ან ხვალ იანკთა მიწაზე უშფოთველად გაინავარდებს.

კატალონიელებმა კლუივერტის არყოფნაში უკვე შეძლეს ტურინის „იუვენტუსის" დამარცხება, დღეს კი ვაშინგტონში „მილანს" შეერკინებიან, ხოლო 3 აგვისტოს — „მანჩესტერ იუნაიტედს" ფილადელფიაში.

**ლადო ხომერიძე**



რობერტ ენკე



ხუან რომან რიკელმეს და რონალდინიოს ერთად თამაში არ უწერიათ



# ქვის ბარძაყი
## ექიმებმა ციგე ეტლში ჩასვეს და ცოლს მიაბარეს

შარშან დეკემბერში, ტოტენჰემელმა კრისტიან ციგემ „ჩარლტონთან" მატჩში მარცხენა ფეხი იტკინა. ექიმებმა მისი გასიებული ბარძაყი ნახეს და ქირურგიული ჩარევა გადაწყვიტეს.

ოპერაციის შემდეგ გერმანელი ფეხბურთს თითქმის ხუთი თვით ჩამოშორდა. მაისის ბოლოს კი გამოკეთდა და გუნდთან ერთად ძველებურად ვარჯიშობდა. ერთი თვის წინ თქვა, სრულად გამოვჯანმრთელდიო და ფანებს კიდევ უფრო ძლიერ ციგეს შეჰპირდა.

პირველივე ამხანაგურ მატჩში, „უიკომბის" წინააღმდეგ, გერმანელმა ტკივილი ისევ იგრძნო და კვლავ ექიმს მიაკითხა. თეთრხალათიანი გაოცდა, როცა ფეხი გასინჯა და ბარძაყის კუნთის გარკვეული ნაწილი გაქვავებული ნახა.

კრისტიან ციგეს ფეხბურთის თამაში კიდევ ერთხელ აუკრძალეს, რადგან ხელახალი ოპერაცია სჭირდება.

„ეს რომ შევიტყვე, ვიფიქრე, რომ ჩემთვის ფეხბურთი დასრულდა. ხუთი თვე ხომ ისედაც გამიცდა. მეგონა, საბოლოოდ გამოვკეთდი, თურმე მთელი ექვსი თვის განმავლობაში სულ ტყუილად ვიმკურნალე. მეორე ოპერაციის შემდეგ თოთხმეტი დღის მანძილზე ყავარჯნებით სიარული მომიწევს. მერე ვარჯიში და კვლავ უბურთოდ. ჩემს მეუღლეს, პიას, საქმე გამოუჩნდა. ხანდახან შეუძლია, ეტლით მასეირნოს. გადასარევია" — თქვა ციგემ.

**გაგა ხუციშვილი**

## ჩეხეთი

1-ლი ტური: ბანიკი — ბუდეიოვიცე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრჟიბრამი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბანიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სიგმა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტეპლიცე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრნო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლიბერეცი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბლშანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პლზენი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ოპავა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სინოტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბუდეიოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ზლინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ჟიჟკოვი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| იაბლონეცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## შვედეთი

გადადებული მატჩები: ჰამარბი — ლანდსკრონა 0:1; მალმიო — სუნდსვალი 2:2; ჰელსინგბორგი — ელფსბორგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 15 | 10 | 1 | 4 | 34:12 | 31 |
| ჰამარბი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 28 |
| მალმიო | 15 | 7 | 5 | 3 | 26:15 | 26 |
| ჰალმსტადი | 15 | 8 | 2 | 5 | 26:18 | 26 |
| აიკ | 15 | 7 | 3 | 5 | 23:18 | 24 |
| იორგრიტე | 15 | 7 | 2 | 6 | 23:24 | 23 |
| იორებრო | 15 | 6 | 4 | 5 | 19:21 | 22 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 6 | 3 | 6 | 15:23 | 21 |
| გიოტებორგი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:15 | 19 |
| ლანდსკრონა | 15 | 4 | 6 | 5 | 15:18 | 18 |
| ელფსბორგი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:22 | 17 |
| სუნდსვალი | 15 | 2 | 7 | 6 | 15:21 | 13 |
| ენკოპინგი | 15 | 2 | 4 | 9 | 14:29 | 10 |
| ოსტერი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:28 | 10 |

## ამხანაგური მატჩი

**რომა (იტალია) 4:2 ირაკლისი (საბერძნეთი)**

1:0 მანჩინი, 2:0 კასანო, 3:0 პანუჩი, 3:1 დასკალაკისი, 4:1 ტოტი, 4:2 ხარამიადისი

რომა (სასტარტო): პელიცოლი, პანუჩი, სამუელი, კიუ, კანდელა, დაკური, ემერსონი, დე როსი, მანჩინი, ტოტი, კასანო


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**

### გერმანია. ბუნდესლიგა
#### I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 001 | ბაიერნი-აინტრახტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 002 | ბაიერნი-აინტრახტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.30 | 004 | შალკე-დორტმუნდი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.30 | 005 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-ვერდერი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ჰანზა-შტუტგარტი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-კიოლნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

### გერმანია
### II ბუნდესლიგა
#### I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 011 | არმინია-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 012 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 013 | აუე-რეგენსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 014 | კოტბუსი-ტრირი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 015 | მაინცი-უნიონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 016 | ბურგჰაუზენი-ალემანია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 017 | ალენი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 018 | დუისბურგი-ლიუბეკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 019 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

### გერმანია
### რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 020 | ვერდერი(მ)-კილი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 021 | დორტმუნდი(მ)-პადერბორნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.30 | 022 | ვატენშაიდი-ზტ.პაული | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 023 | ლაიპციგი-ქემნიცი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.00 | 024 | მიუნსტერი-შალკე(მ) | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 17.00 | 025 | ურდინგენი-ვუპერტალი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.00 | 026 | ნოიმიუნსტერი-ჰამბურგი(მ) | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 027 | ბრაუნშვაიგი-დინამო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 028 | კიოლნი(მ)-ესენი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 029 | კაიზერსლაუტერნი(მ)-შტუტგარტი(მ) | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 030 | კიკერსი-მაინცი(მ) | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.00 | 031 | ელვერსბერგი-აუგსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 17.30 | 032 | ბაიერნი(მ)-ერფურტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 033 | აალენი-შვაინფურტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 034 | ფოიხტი-ზაარბრიუკენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 17.30 | 035 | ჰოფენჰაიმი-ეშბორნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 036 | ოფენბახი-ფულენდორფი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 037 | ზიგენი-ვეენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 038 | ლილი-ლიონი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 20.15 | 039 | მონაკო-ბორდო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 040 | მონპელიე-რენი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 041 | პსჟ-ბასტია | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 23.00 | 042 | სოშო-ნანტი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 043 | ტულუზი-სტრასბური | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.00 | 044 | მეცი-აიაჩო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 045 | ოსერი-ნიცა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.00 | 046 | გენგამი-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 047 | ლანსი-ლე მანი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |

### საფრანგეთი
### II დივიზიონი. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 048 | ლე ავრი-ნანსი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 049 | ანჟე-ვალანსი | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 050 | შატორუ-სტ.ეტიენი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 051 | კლერმონი-რუანი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 052 | გრენობლი-ბესანკონი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 053 | გენიონი-ლორიანი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 23.00 | 054 | ისტრი-სედანი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| 23.00 | 055 | ლავალი-ამიენი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 056 | ნიორი-კრეტეი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 057 | ტრუა-კაენი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

### ჩეხეთი. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 20.15 | 058 | სინოტი-პლზენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**სლოვაკეთი. III ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 068 | ინტერი-პუხოვი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 20.00 | 069 | ბ.ბისტრიცა-სლოვანი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 070 | ტრნავა-ჟილინა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 071 | ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.30 | 072 | პეტრჟალკა-დუბნიცა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**დანია. სუპერლიგა.**

**II ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 080 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 081 | აკადემისკი-ოლბორგი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 18.00 | 082 | ჰერფიოლგე-მიდტიულანდი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.00 | 083 | ვიბორგი-ესბიერგი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 18.00 | 084 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 20.35 | 085 | ფრემი-ბრიონდბიუ | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 096 | ბრეგენცი-შტურმი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.30 | 097 | მატერსბურგი-კერნტენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 098 | რაპიდი-ადმირა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 099 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 3,2 | 2,8 | 1,37 | 1,29 | 1,49 |

**შვეიცარია. სუპერლიგა. IV ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 113 | აარაუ-სერვეტი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 22.30 | 114 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 115 | თუნი-გრასჰოპერი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 22.30 | 116 | ვილი-ბაზელი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 22.30 | 117 | ციურიხი-სტ.გალენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

**შვედეთი. სუპერეტა. XVI ტური**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 182 | ოპერა-ასირისკა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

**ნორვეგია. გადადებული მატჩი**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 193 | ვიკინგი-მოლდე | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |

**ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 194 | ლინი-ბოდიო გლიმტი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 211 | ალიანსი-ჰაკა | 2,9 | 3,3 | 2,25 | 1,54 | 1,26 | 1,33 |

**ისლანდია. XII ტური**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.15 | 221 | აკრანესი-რეიკიავიკი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.15 | 222 | ფრამი-გრინდავიკი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 00.15 | 223 | აკურეირი-თროტური | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**ბრაზილია. გადადებული მატჩები**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 224 | ატლეტიკო პრ-სანტოსი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 04.30 | 225 | გოიასი-პონტე პრეტა | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 226 | პარანა-კრიციუმა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**იტალია. სუპერთასი (აშშ-ში)**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 303 | იუვენტუსი-მილანი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |

**ბელგია. სუპერთასი**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 304 | ბრიუგე-ლუვიე | 1,25 | 5,3 | 9,0 | 1,01 | 1,09 | 3,33 |

**ჩემპიონთა თასი. II ეტაპი. I მატჩები**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 305 | ტირანა-გრაცერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 21.00 | 306 | ლეოტარი-სლავია | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 21.00 | 307 | ცსკა(მ)-ვარდარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 308 | პიუნიკი-ცსკა(ს) | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 22.00 | 309 | ვისლა-ომონია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 310 | შერიფი-შახტარი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 23.00 | 311 | მტკ-ჰიკ | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 23.00 | 312 | კოპენჰაგენი-სლიმა | 1,06 | 9,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,2 |
| 23.00 | 313 | პარტიზანი-იურგორდენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 314 | რაპიდი(ბ)-ანდერლეხტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.00 | 315 | კაუნასი-სელტიკი | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| 23.15 | 316 | ჟილინა-მაკაბი(თ-ა) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.15 | 317 | მარიბორი-დინამო(ზ) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 318 | ბოჰემიანსი-რუსენბორგი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |

**ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 319 | ციბალია-ვოლფსბურგი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 22.30 | 320 | პაშინგი-ვერდერი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 22.30 | 321 | ჰერენვენი-კოპერი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.00 | 322 | ნანტი-პერუჯა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.00 | 323 | ბრნო-ვილიარეალი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.15 | 324 | შალკე-ლიბერეცი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

## ფორმულა 1. გერმანია. 2 აგვისტო. (12.00)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ------------- 2,5 | 4101 ---------- 1,25 | 4201 ------------ 1,12 | 2,5 |
| ბარიკელო -------------- 6,0 | 4102 ---------- 1,85 | 4202 ------------ 1,25 | 5,0 |
| რაიკონენი ------------- 6,0 | 4103 ----------- 1,9 | 4203 ------------ 1,25 | 4,6 |
| მონტოია --------------- 3,8 | 4104 ----------- 1,5 | 4204 ------------ 1,25 | 4,0 |
| კულტჰარდი --------- 12,0 | 4105 ----------- 3,6 | 4205 ------------ 1,45 | 12,0 |
| რ.შუმახერი ----------- 3,5 | 4106 ----------- 1,4 | 4206 ------------ 1,15 | 4,0 |
| ალონსო -------------- 25,0 | 4107 ----------- 4,6 | 4207 -------------- 1,5 | 20,0 |
| ტრული -------------- 40,0 | 4108 ----------- 7,5 | 4208 -------------- 2,0 | 40,0 |
| ბატონი --------------- 75,0 | 4109 ---------- 15,0 | 4209 -------------- 2,8 | 75,0 |
| ვილნევი ------------ 100,0 | 4110 ---------- 20,0 | 4210 -------------- 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ---------- 100,0 | 4111 ---------- 20,0 | 4211 -------------- 4,0 | 100,0 |
| პანისი ------------- 100,0 | 4112 ---------- 20,0 | 4212 -------------- 4,0 | 100,0 |
| ვებერი ------------- 75,0 | 4113 ---------- 15,0 | 4213 -------------- 2,6 | 75,0 |
| ფრენცენი --------- 100,0 | 4114 ---------- 25,0 | 4214 -------------- 4,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი -------- 100,0 | 4115 ---------- 25,0 | 4215 -------------- 4,0 | 100,0 |
| დი მატა ------------ 100,0 | 4116 ---------- 25,0 | 4216 -------------- 4,0 | 100,0 |

**4301 გამარჯვებული გუნდი**

| | |
|---|---|
| ფერარი | 1,75 |
| მაკლარენი | 4,0 |
| უილიამსი | 1,8 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 50,0 |
| ბარ | 40,0 |
| ჯორდანი | 50,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| იაგუარი | 40,0 |
| მინარდი | 200,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

### გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური

1 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — აინტრახტი | 1,25 | 4,5 | 10,0 |

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ჰანოვერი | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| შალკე — დორტმუნდი | 2,3 | 3,1 | 2,75 |
| ჰერტა — ვერდერი | 1,72 | 3,4 | 4,0 |
| კაიზერსლაუტერნი — მიუნხენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| ლევერკუზენი — ფრაიბურგი | 1,61 | 3,3 | 5,0 |
| ვოლფსბურგი — ბოხუმი | 1,72 | 3,25 | 4,2 |

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანზა — შტუტგარტი | 2,62 | 3,2 | 2,3 |
| მიონხენგლადბახი — კიოლნი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური

1 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლილი — ლიონი | 3,0 | 3,0 | 2,2 |

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ბორდო | 1,83 | 3,0 | 4,0 |
| ოსერი — ნიცა | 1,66 | 3,1 | 5,0 |
| გენგამი — მარსელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| ლანსი — ლემანი | 1,66 | 3,3 | 4,5 |
| მეცი — აიაჩო | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| მონპელიე — რენი | 1,83 | 3,2 | 3,75 |
| პსჟ — ბასტია | 1,53 | 3,25 | 6,0 |
| სოშო — ნანტი | 2,0 | 3,0 | 3,4 |
| ტულუზი — სტრასბური | 1,9 | 3,0 | 3,75 |

### ავსტრია

ბუნდესლიგა. III ტური

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეგენცი — შტურმი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| მატერსბურგი — კერნტენი | 1,83 | 3,25 | 3,5 |
| რაპიდი — ადმირა | 1,57 | 3,3 | 5,0 |

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — გრაცერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### დანია

სუპერლიგა. II ტური

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი — ოდენსე | 1,61 | 3,5 | 4,5 |

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აკადემისკი — ოლბორგი | 2,3 | 3,4 | 2,5 |
| ორჰუსი — ნორდსიელანდი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ჰერფიოლგე — მიდტიულანდი | 2,5 | 3,25 | 2,4 |
| ვიბორგი — ესბიერგი | 2,3 | 3,2 | 2,62 |
| ფრემი — ბრონდბიუ | 4,5 | 3,5 | 1,61 |

### ნორვეგია

გადადებული მატჩი

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლინი — ბოდიოგლიმტი | 2,1 | 3,4 | 2,7 |
| ვიკინგი — მიოლდე | 1,66 | 3,6 | 3,8 |

### შვეიცარია

სუპერლიგა. IV ტური

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — სერვეტი | 2,25 | 3,3 | 2,62 |
| ქსამაქსი — იანგ ბოიზი | 1,9 | 3,3 | 3,3 |
| ციურიხი — სენტ გალენი | 1,72 | 3,4 | 4,0 |

### ჩემპიონთა თასი

II ეტაპი. I მატჩები

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაუნასი (ლიტვა) — სელტიკი (შოტლანდია) | 6,5 | 3,6 | 1,44 |
| ცსკა (რუსეთი) — ვარდარი (მაკედონია) | 1,25 | 4,5 | 10,0 |
| ლეოტარი (ბოსნია) — სლავია (ჩეხეთი) | 3,6 | 3,3 | 1,83 |
| პიუნიკი (სომხეთი) — ცსკა (ბულგარეთი) | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| ტირანა (ალბანეთი) — გრაცერი (ავსტრია) | 2,62 | 3,2 | 2,3 |
| შერიფი (მოლდოვა) — შახტარი (უკრაინა) | 3,4 | 3,25 | 1,9 |
| ვისლა (პოლონეთი) — ომონია (კვიპროსი) | 1,33 | 4,0 | 8,0 |
| კოპენჰაგენი (დანია) — სლიმა (მალტა) | 1,1 | 7,0 | 13,0 |
| მტკ (უნგრეთი) — ჰიკ (ფინეთი) | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| პარტიზანი (სერბეთი) — დიურგარდენი (შვედეთი) | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| რაპიდი (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| მარიბორი (სლოვენია) — დინამო (ხორვატია) | 2,35 | 3,1 | 2,62 |
| ჟილინა (სლოვაკეთი) — მაკაბი (ისრაელი) | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ბოჰემიანსი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 4,33 | 3,4 | 1,66 |

### ინტერტოტოს თასი

1/2 ფინალი. I მატჩები

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ციბალია (ხორვატია) — ვოლფსბურგი (გერმანია) | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| პაშინგი (ავსტრია) — ვერდერი (გერმანია) | 2,8 | 3,2 | 2,2 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — კოპერი (სლოვენია) | 1,5 | 3,6 | 5,5 |
| ბრნო (ჩეხეთი) — ვილიარეალი (ესპანეთი) | 2,5 | 3,25 | 2,4 |
| ნანტი (საფრანგეთი) — პერუჯა (იტალია) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| შალკე (გერმანია) — ლიბერეცი (ჩეხეთი) | 1,57 | 3,3 | 5,5 |

### ბელგია

სუპერთასი

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — ლუვიე | 1,2 | 5,5 | 9,0 |

### იტალია

სუპერთასი (აშშ-ში)

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — მილანი | 2,5 | 2,9 | 2,62 |

# რუსთავი და თავრუსი ანი სულ ერთია
## აზოტისთვის ჰო ჰოა და არაც ჰოა



ოთარ ხმელიძისა შეგირდებს კი სჯერათ, მაგრამ ახალი რუსი თუ დაუჯერებს?

*არავინ იცის, უყვარს თუ არა სპორტი, კერძოდ კი კალათბურთი რუსთავის „აზოტის" ქარხნის ახალ დირექტორს, რუს საქმოსან ანდრეი პარშუტინს. თუმც ამას ქარხნის საკალათბურთო გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა არ აქვს. რუსი კალათბურთს დასანახადაც რომ ვერ იტანდეს, „აზოტს" მაინც არაფერი დააკლდება, ხოლო თუ სლავმა ოთარ ხმელიძის გუნდის მიმართ ინტერესი გამოიჩინა, გაუხარიათ რუსთაველებს და ეგაა. „აზოტში" შექმნილ ვითარებაზე სწორედ ოთარ ხმელიძე გვესაუბრება*

**— მომავალი სეზონისთვის მზადებას უკვე შეუდექით?**

— 20 ივლისიდან ვვარჯიშობთ. გუნდში სულ 22 კაცია და რუსთავში ვემზადებით.

**— ძირითადი ბირთვი შეინარჩუნეთ?**

— მხოლოდ ორი კალათბურთელი გამოგვაკლდა — ნუგზარ კოკოლიშვილი და შოთა მაჭარაძე. კოკოლიშვილი, ფაქტობრივად, კარგა ხნის წასულია. ბოლო სეზონში მან პლეი ოფის დაწყებამდე მიიღო ფეხის მძიმე ტრავმა და ველარ გვეხმარებოდა. ნუგზარს ფეხი კი მოურჩა, მაგრამ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასეა, თუმც ეგებ დავიყოლიოთ კიდევ თამაშზე. მაჭარაძე კი ამერიკაში წავიდა პირად საქმეებზე.

**— არჩილ ქლენტს „დინამო" უთვალთვალებდა...**

— გადაწყვეტილია, რომ ქლენტი აღარ წავა „დინამოში". ის ჩვენთან ითამაშებს.

**— ირაკლი ჯაფარიძე ტრავმიანობდა...**

— დღეს იგი უკვე ჯანმრთელადაა და ვარჯიშობს. ცენტრის პოზიციაზე ჯაფარიძის დიდი იმედი გვაქვს.

**— გავიგეთ, ბასკოელი ზვიად ბაბიაშვილის შემატება გადაგიწყვეტიათ...**

— ჯერ არაფერია გარკვეული, ბაბიაშვილიც გვინდა და რამდენიმე სხვაც, მაგრამ რა თანხას გამოგვიყოფენ, არ ვიცი.

**— დაფინანსების მხრივ პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?**

— „აზოტის" ქარხანას ახალი დირექტორი ჰყავს, რუსი ანდრეი პარშუტინი და ჯერ არ ვიცით ჩვენი კლუბის მიმართ მისი პოზიცია. მისმა თანაშემწეებმა დაგვაიმედეს, თუ არაფერს მოგიმატებთ, არც არაფერი დაგაკლდებათო. თუ ბატონი პარშუტინი ინტერესს გამოიჩენს, ხომ კარგი, უფრო გავძლიერდებით, თუ არადა, ისევ ისეთი, შედარებით მოკრძალებული ამბიციების მქონე გუნდი გვეყოლება.

**— თუ ქარხნის შეფი კალათბურთის გულშემატკივარი აღმოჩნდა, ალბათ, საჩემპიონო გუნდს შეკრავთ...**

— რატომაც არა, თუ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა იქნება, რამდენიმე ძლიერ კალათბურთელს დავიმატებთ, ეგებ ლეგიონერებიც ჩამოვიყვანოთ და ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთ. ყველაფერი დაახლოებით ერთ თვეში გაირკვევა.

**— თქვით, 22 კალათბურთელია გუნდშიო. დიდი არჩევანი გქონიათ...**

— უმეტესობა ახალგაზრდაა, რუსთავის საკალათბურთო სკოლის აღსაზრდელები. ერთი-ორი გამრჯე ბიჭი ამათგანაც ამოირჩევა და ისინი მომავალ სეზონში დაგვეხმარებიან.

**— სულ რუსთავში მოემზადებით?**

— აგვისტოში ურეკში ვაპირებთ შეკრებას, ვნახოთ, ეგებ უკეთესი ვარიანტიც გამოგვიჩნდეს.

**ირაკლი პერტაია**

---

*წლეულს გვარიანად რეკლამირებულ და „დეტროიტ პისტონზის" მიერ დრაფტზე მე-2 ნომრად არჩეულ სერბ ახმახ დარკო მილიჩიჩს საქმეები აეწეწა. მისი ნბა-ური დებიუტი წლეულს შესაძლოა, არც შედგეს. ყოველ შემთხვევაში, მილიჩიჩის თაობაზე ახლახან ნიუ იორკში დაწყებულ სასამართლო პროცესს ხანგრძლივად გაწელვის პერსპექტივა უჩანს*

# მილიჩიჩის საქმე
## გამზრდელები თავს აღარ იკლავენ, გამზრდელები ფულს ითხოვენ



დარკო მილიჩიჩი

**ირკვევა,** რომ მილიჩიჩს მშობლიურ „ჰემოფარმთან" 2009 წლამდე აკავშირებს კონქრაქტი, ამის შესახებ კი სიტყვა არ დაუძრავს საგენტო კანტორა „პინაქლ მენეჯმენტის" წარმომადგენელ მარკ კორშტეინს, რომელიც სერბ თინეიჯერს ნბა-ს სხვადასხვა კლუბებს სთავაზობდა. ვრშაცული „ჰემოფარმიც" სწორედ კორშტეინს უჩივის, დეტროიტელები შეცდომაში შეიყვანეო და საკომპენსაციო 10 მილიონ დოლარს სთხოვს.

აი, ფრაგმენტი ნიუიორკული სასამართლო პროცესის დავთრიდან: „კორშტეინმა და მისმა კომპანიამ იცოდნენ რომ მილიჩიჩს „ჰემოფარმთან" ხანგრძლივმოქმედი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ მაინც ეწეოდნენ არაერთ კლუბთან კალათბურთელის რეკლამირებას, რამაც მათ სასურველი შედეგი მოუტანა — მილიჩიჩი „დეტროიტმა" დრაფტზე მე-2 ნომრად აიყვანა."

მარკ კორშტეინის მეუღლე და თანამოსაქმე ნატაშა კორშტეინი სასამართლო პროცესზე მათდამი მიმართულმა ბრალდებებმა შეაცბუნა — „საქმის ასე შეტრიალებამ გაგვაოგნა. მე და ჩემი მეუღლე პატიოსნად და ალალად ვმოქმედებდით „დეტროიტსა" და „ჰემოფარმს" შორის, აქ რაღაც გაუგებრობაა და დარწმუნებული ვარ, სიმართლე მალე გამომჟღავნდება."

საწინააღმდეგო აზრი აქვს ჰემოფარმელთა ადვოკატ რობერტ ლანზას — „ჰემოფარმი" ცდილობდა, ეთანამშრომლა „პინაქლ მენეჯმენტთან", რათა მილიჩიჩის საქმეები სწორი მიმართულებით წარმართულიყო და ხელი შეგვეწყო პერსპექტიული კალათბურთელის ნბა-ში მოწყობისთვის. თუმც ამ კომპანიამ უარი განაცხადა ჩვენთან თანამშრომლობაზე და მილიჩიჩის „პისტონზში" მოწყობის მრუდე გზა აირჩია."

„ჰემოფარმი" კორშტეინებს თაღლითობაში ადანაშაულებს და 10 მილიონს სთხოვს, ამასთან, დეტროიტელთაგან მილიჩიჩის საკომპენსაციო თანხის მიღებასაც ეშურება. ნბა-ს კლუბს დრაფტზე არჩეული კალათბურთელის უცხოურ გუნდთან მოქმედი კონტრაქტის გამოსასყიდად 350 ათასზე მეტის გადახდა ეკრძალება. ცნობისთვის: თუ დასცალდათ, მილიჩიჩს დეტროიტელები, სავარაუდოდ, 11-მილიონიან კონტრაქტს გაუფორმებენ, ანუ თითქმის იმდენს მისცემენ, რამდენსაც „ჰემოფარმი" დაკარგული კალათბურთელის სანაცვლოდ მიღებას გეგმავს.

**ირაკლი პერტაია**

---

# ასეთი სექსი ჩვენ არ გვჭირდება!
## ბრაიანტი კარტერით უხმაუროდ შეცვალეს



ვინს კარტერი

**ცხელ-ცხელი** ცნობა საათენოდ შეკრებილი ოლიმპიური „დრიმ თიმისგან": ლეიკერსელი კობი ბრაიანტის ნაცვლად ამერიკელთა ნაკრებში „ტორონტოს" მფრინავი ფორვარდი ვინს კარტერი ითამაშებს.

ბრაიანტი მხრისა და მუხლის ტრავმის გამო წინა კვირაში ამოწერეს დრიმთიმელებიდან, თუმც მიზეზი ეგებ ლეიკერსელი სუპერვარსკვლავის შელახული პრესტიჟიც იყო, მას ხომ მაყვანი ყმაწვილქალის გაუპატიურება ედება ბრალად. ბრაიანტის საქმე სასამართლოშია და ამერიკული კალათბურთის ოჯახის უფროსებმაც, ეტყობა, არ ისურვეს აწეწილი პირადი საქმეებით დამძიმებული სპორტსმენის ნაკრებში ყოლა. რას გაიგებ...

კარტერს კი წინა, სიდნეურ ოლიმპიადაზეც უბურთავია 2000 წელს და მისი საშუალო 15 ქულა ამერიკელებს ჩემპიონობაში გვარიანად წაშველებია. „ჩემთვის უდიდესი პატივია ეროვნული ნაკრების ღირსების კვლავაც დაცვა" — უხარია კარტერს.

„ტორონტოს" სუპერფორვარდს სიდნეის ოლიმპიადაზე მიღებული მუხლის ტრავმა აქამდე გამოჰყვა. 2002-03 წლების სეზონში კარტერი საშუალოდ ოდენ 20,6 ქულას იხვეჭდა, რაც მისთვის უმდაბლესი შედეგია 5-წლიანი ნბა-ური კარიერის მანძილზე.

აგერ, კარტერის ოლიმპიელი თანამებრძოლნიც: რეი ალენი, მაიკ ბიბი, ელტონ ბრენდი, ჯეისონ კიდი, რიჩარდ ჯეფერსონი, ნიკ კოლისონი, ალენ აივერსონი, ტიმ დანკანი, ჯერმენ ონილი, კარლ მელოუნი და ტრეისი მაკგრეიდი. ეს ვარსკვლავთკრებული 10 აგვისტოდან იწყებს საოლიმპიადო სამზადისს.



კობი ბრაიანტი

**ირაკლი ბანძელაძე**

---

# ლეიკერსი ქართულ ანდაზას ამოწმებს
## ბებერი ჰორასის რქანიცა ხნავენ?




ჰორას გრანტი

**ღვაწლმოსილი** ვეტერანი, ოთხი საჩემპიონო ბეჭდის მფლობელი ჰორას გრანტი „ლეიკერსმა" შემატა. 16-წლიანი სათამაშო სტაჟის მქონე გრანტი ფილ ჯექსონის გუნდში ორშაბათს ჩაირიცხა საკონტრაქტო პირობების გაუხმაურებლად.

გრანტისთვის „ლეიკერსი" არაა უცხო გუნდი, ჰორასმა ბოლო საჩემპიონო ბეჭედი სწორედ ლოსანჯელესელებთან ერთად იშოვა 2001 წელს. იმ სეზონში გრანტი საშუალოდ 8,5 ქულითა და 7,1 მოხსნით ეშველებოდა კალიფორნიელებს და მათ გაჩემპიონებაშიც არცთუ მოკრძალებული წილი დაიდო.

სწორედ იმ ლეიკერსული სეზონის შემდეგ დაიწყო გრანტის დაღმასვლა. ჩემპიონი გუნდიდან ის „ორლანდოში" გადავიდა და თუმც საკმაოდ ნაყოფიერად ჩაატარა პირველი სეზონი (8,0 ქულა, 6,3 მოხსნა), შარშან დეკემბერში გუნდიდან მაინც დაითხოვეს. ბოლო სეზონში გრანტმა „ჯადოქრების" შემადგენლობაში ოდენ ხუთი მატჩი ითამაშა, ძველებურად ველარ ერჩოდა ჯანი და გუნდსაც დაემშვიდობა.

ზამთრის აქეთ გრანტი უკლუბოდ იყო და აგერ, საჩემპიონო მადის მქონე გუნდმა შეიფარა. შაკილ ონილისა და კარლ მელოუნის მყოლ ლეიკერსელებს ვინძლო ყველაზე მრისხანე წინა ხაზი ჰყავდეთ, მაგრამ 38 წლის გრანტის საკმაოდ ბარაქიან გამოცდილებაზე ხანდახან ეგებ არც თქვან უარი.

პირველი სამი ტიტული კი გრანტს დიად „ჩიკაგო ბულზში" მოუგია უდიადეს მაიკლ ჯორდანთან ერთად.

**ირაკლი ბანძელაძე**



მაიკლ ფელპსმა იან ტორპს პირველგარსკვლავის სტატუსი ჩამოართვა

*ამ უქმეებზე ბარსელონაში დასრულებულ მსოფლიოს სანყლოსნო ჩემპიონატზე კატალონიურ პუბლიკას მოსანყენად არ ეცალა. მართალია, ჩემპიონატი მასპინძლებისა ვერ გამოდგა, მაგრამ ეს არავის გაჰკვირვებია, ესპანელები, მგონი ტრაფალგარის შემდეგ ამოვიდნენ წყლიდან და სხვა სფეროებში აბანდებენ თავიანთ ნიჭს. ბარსელონაშიც მხოლოდ ერთი ოქრო შეხვდათ, მაგრამ მსოფლიოს მე-10 ჩემპიონატის აუზები წყლის სხვა იმპერიათა არმადებმა აადგაფუნეს. ავსრალიელი და ამერიკელი მოცურავეები ტრადიციული „სისასტიკით" დაერივნენ ერთმანეთს. დამყარდა ათეულობით მსოფლიო რეკორდი, ვაჟ წყალბურთელთა ფინალს 10 ათასი მაყურებელი დაესწრო... ერთი სიტყვით, ბარსელონამ ეს ორი კვირა ტრიბუნებზე ისიამოვნა*

# რეკორდების სეზონი სპიცზე იწევს

## მაიკლ ფელპსმა აუზებს გადაუფრინა

შედარებით მოწყენილ პირველ კვირას, რომელიც ძირითადად წყალში მხტომელებს და სინქრონულად მოცურავე გოგონებს დაეთმოთ, ხმაურიან მოცურავეთა მეორე კვირეული მოჰყვა და რეკორდების წვიმამაც დაუშვა.

ამერიკამ აჯობა ავსტრალიას, რამეთუ ავსტრალიელთა ჯილამ იან ტორპმა ვერ შეძლო მსოფლიოს ორი წლის წინა ჩემპიონატის გმირობების გამეორება და ბარსელონაში მხოლოდ ორი ინდივიდუალური ოქრო შეაწია ოზურ ყულაბას. ტორპს არც რაიმე რეკორდი განუახლებია და ახლა თუმც მხოლოდ 20 წლისაა — რაც სხვა სახეობებში იქნებ დამწყები ასაკია — მაგრამ ხალხი უკვე ალაპარაკდა მისი ფანტასტიკური კარიერის დაღმასვლაზე. მცირე „ანტიტორპული" კამპანიის აგორებას მოცურავეთა აკვატორიაში ახალი ვარსკვლავის „ჩავარდნამაც" შეუწყო ხელი. ამერიკელ თინეიჯერ მაიკლ ფალპსს აუზების მისადგომებთან მანამდეც იცნობდნენ, ახლა კი მისმა სახელმა სხვათა გასაგონადაც დაიქუხა.

ცურვასაც ჰყავს თავისი პელე, ესაა 60-იანი და 70-იანი წლების ლეგენდარული კაც-თევზა მარკ სპიცი, ვისაც აუცილებლად უნდა მიეზომოს ყველა ვარსკვლავი. ყველას სიდიდე და სიკაშკაშე სპიცთან შედარების შემდეგ განისაზღვრება. ფელპსს უკვე ადარებენ სპიტს და მას დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, რა შუაშია წინასწარმეტყველება და მომავალი, როცა ეს 18 წლის ჯეელი უკვე ახლა უტევს დიადი სპორტსმენის მიღწევებს

ფელპსმა ბარსელონაში ხუთი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, რაც არასდროს მოუხერხებია იან ტორპს და თვით სპიცსაც ერთი ჩემპიონატიდან არასდროს ამოუღია ოთხ რეკორდზე მეტი.

ფელპსი ბევრით ჩამოჰგავს სპიცს. მასაც თავისი სახეობები აქვს, მაგალითად, ბატერფლაი და კომბინაცია და ამ სახეობებში ბარსელონაში ლამის ყოველდღე ამხობდა რეკორდებს. მან აჩვენა საუკეთესო დროები 200 და 100 მეტრ ბატერფლაიში და 400 და 200 (ორჯერ) მეტრ კომბინაციებში. ისე, როგორც ხედავთ, დისციპლინა ოთხია, ფელპსმა კი ბარსელონაში სამჯერ იჩემპიონა. საქმე ისაა, რომ 100 მეტრ ბატერფლაიში ნახევარფინალურ გაცურვაში მან თავისივე ძველი რეკორდი განაახლა — 51.59 წამი აჩვენა და ფინალშიც ახალი სასწაულების ჩასადენად გავიდა. საფინალო გაცურვაში მან კიდევ უფრო ნაკლები დრო აჩვენა — 51.47 წამი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად 20 წლის თანამემამულე იან კროკერს ჩამორჩა. ამ კროკერმა 100 მეტრი ბატერფლაით 50.98 წამში დაფარა და ფელპსს რეკორდიცა და ჩემპიონობაც წაგვარა.

მაიკლ ფელპსი კიდევ გაიბრწყინებს, თუნდაც ერთი წლის შემდეგ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე. მანამდე კი არც სხვების დავიწყება ევების. იან ტორპმა იმარჯვა თავის სახეობებში 200 და 400 თავისუფალ მეტრში, მაგრამ ორი წლის წინ ფუკუოკაში 100 და 800 მეტრში მოპოვებული მედლები ახლა ამ საქმის სპეციალისტებს, შესაბამისად რუს ალექსანდრ პოპოვს და ავსტრალიელ გრანტ ჰეკეტს დარჩათ. 31 წლის პოპოვმა 100 მეტრის გარდა 50 მეტრიც მოიგო და დაიბრუნა უძლიერესი სპრინტერის რეპუტაცია და ჩინები. ამასთან ის გახდა ამ დისტანციებში ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული.

**ქოტე ჯორჯია**

| მედლების საერთო დაფა | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 12 | 13 | 6 | 31 |
| რუსეთი | 10 | 5 | 6 | 21 |
| ავსტრალია | 8 | 12 | 6 | 26 |
| ჩინეთი | 7 | 4 | 8 | 19 |
| გერმანია | 5 | 7 | 5 | 17 |
| **საცურაო მედლები** | | | | |
| აშშ | 11 | 12 | 5 | 28 |
| ავსტრალია | 6 | 10 | 6 | 22 |
| გერმანია | 5 | 1 | 2 | 8 |
| რუსეთი | 3 | 2 | 2 | 7 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 4 | 7 |

## იტალიელი გოგო-ბიჭები ბოლოს ჩაიჭრნენ

**ძალიან** დაძაბული გამოდგა წყალბურთელთა პირველობა. ფინალში ერთმანეთს შეასკდნენ უნგრეთისა და იტალიის ნაკრებები. გაიმარჯვეს უნგრელებმა, რომლებმაც ძირითადი დროის 8:8 დამთავრების შემდეგ დამატებითი დრო 3:1 მოუგეს აპენინელებს და 1973 წლის მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში პირველობის შემდეგ მეორედ გაჩემპიონდნენ.

ბრინჯაოს მედალი შეხვდათ ევროპის ჩემპიონ სერბია-ჩერნოგორიელებს, მცირე ფინალში მათ 5:3 დაამარცხეს ბერძნები. სერბები ამბობდნენ, მეტითაც უნდა მოგვეგოო და მივიგებდით კიდეც, მეკარე და ორი წამყვანი მოთამაშე რომ გვყოლოდაო. ისინი დისკვალიფიცირებულები იყვნენ, რადგან ნახევარფინალში იტალიასთან მარცხის შემდეგ მეტოქეს შიგ აუზში აუტეხეს ჩხუბი.

არც იტალიელ ქალებს გაუმართლათ, ფინალში მათაც წააგეს. ამერიკელებს გადამწყვეტი მატჩი 6:8 დაუთმეს და წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროც ოკეანგაღმელებს გადაულოცეს.



# დაგვაპატარავეთ!

## პატარა ჩოგანი: პატარების შანსი დიდების წინააღმდეგ

**ჩოგბურთის** მამები უკანახაზიდან უსაზმნო და მძლავრი გლაჯუნის ასალაგმ გზებს ეძებენ.

ისინი თვლიან, რომ უახლესი ტექნოლოგიების მიხედვით დამზადებულმა ჩოგნებმა, რამაც ჯანიანი მოთამაშენი უფრო დახვეწილთა წინააღმდეგ მოუგერიებელი იარაღით აღჭურვა, ჩოგბურთს სინატიფე და ლაზათი დააკარგვინა.

მამათა აზრით, გამოსავალი ერთია — ჩოგნები უნდა დაპატარავდეს.

ამ თემაზე აქამდეც ცხოვლად მიმდინარე დისკუსია კიდევ უფრო გაცხოველდა წლევანდელი უიმბლდონობისას, როცა ლეიტონ ჰიუიტისა და ანდრე აგასის დარ ჯადომეჩოგნეთა ნაადრევი გავარდნით გახელებულმა ოდინდელმა ჩემპიონებმა და მათ ჭკუაზე მყოფმა სპეციალისტებმაც სპორტის მამებს საგანგებო აჯით მიმართეს.

აჯაში სწორედ ის იყო ნათქვამი, რაც ზემოთაც ითქვა — თანამედროვე უახლესმა ტექნოლოგიებმა ჯანიან, მაგრამ უტვინო მეჩოგნეებს უდიდესი უპირატესობა მისცა უფრო ტანმომცრო, მაგრამ შეუდარებლად ნატიფ და შემოქმედ მეჩოგნეთა წინაშე, რის შედეგაც ჩოგბურთი დახვეწილი, მრავალფეროვანი ბურთაობიდან ლამის მომაბეზრებელ, უაზრო ბრახა-ბრუხად გადაიქცეს...

ჩოგბურთისა და ტექნოლოგიათა ურთიერთობისადმი მიძღვნილ კონგრესზე, რომელიც ამ დღეებში ლონდონში მიმდინარეობს, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ეიტიფის) პრეზიდენტმა ფრანჩესკო რიკი ბიტიმ თავისი სიტყვა ამგვარი ფრაზებით გაასრულა:

„დიახ. ჩვენ უნდა გადავარჩინოთ თამაშის სული. ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ საჩოგბურთო საჭურვლის მწარმოებელ ფირმებთან და შევეცდებით, სასურველი შედეგები მივიღოთ. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა."

ერთ-ერთი პირველი, ვინაც კორტებზე მოძალებული ჯანისა და ჩამხვევ-ჩამხუჭუჭებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა (და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ჩოგნები ჩახვევის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს იძლევიან) ოდინდელი მოთამაშე და ამჟამინდელი ტელეკომენტატორი ჯონ ბარეტი გახლდათ.

მისტერ ბარეტს იმთავითვე აუბეს მხარი სახელოვანმა ჩემპიონებმა — ჯონ მაკინროიმ, მარტინა ნავრატილოვამ, ბორის ბეკერმა და სტენ სმიტმა.

ბარეტი ამბობს, რომ ჩოგბურთის მომავალს ყველაზე მეტად უკანახაზიდან მოგლაჯუნეთა მიერ ჩახვეულ დარტყმათა უხშირესი გამოყენება ემუქრება.

„მრავალფეროვნება არსებობის საფუძველია — ამბობს იგი — სწორედ მრავალფეროვნება ქმნის ჩოგბურთის განუმეორებელ ხიბლსაც. მეუკანახაზე მოაწოდე-მიეძალე ყაიდის მეჩოგნის წინააღმდეგ — ეს ის კომბინაციაა, რის სანახავად დადიან კიდევ ფანები კორტებზე.. მაგრამ იმას, რასაც თანამედროვე ჩოგბურთი ჰქვია, მრავალფეროვნებასთან საერთო არაფერი აქვს, ეს უკანახაზიდან გაუთავებელ გლაჯუნად გადაიქცა. თუკი გვინდა, დარღვეული ბალანსი აღვადგინოთ, რაღაც აუცილებლად უნდა შევცვალოთ."

ბარეტიცა და ჩოგბურთზე მორუდუნე სხვა ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ ეს „რაღაცა" ჩოგნის ზომა უნდა იყოს. სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული პირფართე ჩოგნები იძლევა ასე იოლად ჩახვევის საშუალებას და სწორედ ეს ჩახვევები კლავს მოაწოდე-მიეძალე ყაიდის ნატიფ, კეთილშობილურ ჩოგბურთს — თვლიან ისინი.

იმ შემთხვევაში, თუკი პროფესიონალებს მართლაც მოდიფიცირებულ, მომცრო ზომის ჩოგნებს დააჭერინებენ, ფართე ჩოგნებით ბურთაობა მოყვარულთა პრივილეგიადღა დარჩება.

„ასეთ რამეს სხვა სახეობათა ისტორიაც იცნობს" — გვამშვიდებს მავანი პენსილვანიელი პროფესორი ჰოვარდ ბროდი.

„ასე მაგალითად — ამერიკელ პროფესიონალ ბეისბოლისტებს დღემდე ხის კეტები უპყრიათ, მაშინ როცა მოყვარულებს უფლება აქვთ, უფრო მძლავრი პოტენციის მქონე ალუმინის კეტებით ირბინონ."

ერთი ჩოგნით და ორი გაგებით — საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე უფრო სამართლიანი ჩოგნაობის მაცქერალნი შევიქნებით. მაშინ ჯანსა და ბეჭების სიგანეს ასეთი მნიშვნელობა აღარ ექნება და აღარცთუ უკანახაზიდან მომაბეზრებლად მოხათქუნეთ დაუდგებათ კარგი ჟამი.

ვინძლო, ჩვენც ასე გვაწყობდეს.

**ქარლო გოგოლი**





## ტურ დე ფრანსი 2003

# ველორბოლით სიკვდილისა დამთრგუნველი



**ასწლოვანი** „ტურ დე ფრანსის" მოგებისთანავე ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ საკუთარ გამარჯვებათა ჩამოსათვლელად ცალი ხელის თითებს ვერაფრით იკმარებს, ჩამოვა საფრანგეთს გაისადაც და ზედიზედ მე-6 გამარჯვების მოპოვებას ეცდება. ეს აზრი არამარტო ველომეტოქეებთან, არამედ საძაგელ კიბოს დაავადებასთანაც მებრძოლმა იანკიმ საზეიმო პრესკონფერენციაზე გამოთქვა, სადაც შეღწევა იოლად რთდი მოახერხა. მეუღლე კრისტინი, 3 წლის ძე ლიუკი და ტყუპი გოგონები, იზაბელა და გრეისი მის მომლოდინე ხალხის მხოლოდ მიზერულ ნაწილს შეადგენდნენ. პარიზის ქუჩებში (სადაც „ტურ დე ფრანსი" ტრადიციულად სრულდება), ამერიკის დროშები მრავლად და ენერგიულად ფრიალებდა და ასევე საჩინოდ გამოფენილ სხვა ქსოვილებზე კი არმსტრონგის ამერიკელ (და არა მარტო) ფანებს გულმოდგინედ გამოეყვანათ სხვადასხვა სახოტბო წარწერები: „ლენსი ჩვენი ღმერთია" და ასე შემდეგ. თვით ჯორჯ ვაშინგტონ ბუშმაც კი გამოამჟღავნა, რომ სადამ ჰუსეინის კვალზე დგომა მისი ერთადერთი საზრუნავი არ არის, რომ იგი ამერიკის განმადიდებელ სპორტსმენებს თავიანთ წილ პატივს და ყურადღებას მიაგებს. პრეზიდენტმა ველომრბოლელს თითქმის გამარჯვებისთანავე დაურეკა და მოკლე, მაგრამ ასაკრეჭლებელი სიტყვით მიმართა.

თუმცა არმსტრონგს არ უტირია. ამგვარ დედაკაცურ საქციელს იგი ბავშვობაშივე გადაეჩვეოდა და მით უფრო არ სცხელოდა ტირილისთვის 1996 წელს, როცა 24 წლის ახალგაზრდას ექიმებმა საოესლე ჯირკვლის კიბო დაუდგინეს და გადარჩენის შანსები „ფიფტი-ფიფტიდ" შეუფასეს. არმსტრონგმა იბრძოლა სიცოცხლისთვის და შთამბეჭდავად გაიმარჯვა. რაც შეეხება ტრიუმფს...

„დიდი პატივია ყველასთვის „ტურ დე ფრანსის" მოგება — თქვა არმსტრონგმა თავის საბენეფისო პრესკონფერენციაზე — და ჩემთვის კი ორმაგად მეტი ფასი მიტომ ადევს, რომ ეს ყველაფერი კიბოს მსხვერპლმა გავაკეთე. იცით, 200-მა მეტოქემ მთელი ამ დღეების მანძილზე სისხლი გამიშრო, პრობლემები უწყვეტად მქონდა, მაგრამ ამგვარი გასაჭირი მირჩევნია ინდიანაპოლისის ჰოსპიტალში უიმედო წოლას."

პრობლემები კი დიახაც იყო: ამერიკელს მთავარ კონკურენტობას ბოლო წლებია, გერმანელი იან ულრიხი უწევს, ვინც წლევანდელ „ტურ დე ფრანსს" დიდი ჯაჯგურით უწია — 14 თვე მუხლს მკურნალობდა, დოპინგს კი რომელი ველომრბოლი არ იკეთებს, მაგრამ ამ ჯერზე მაინცდამაინც ულრიხი ჩავარდა (რისთვისაც დისკვალიფიკაციაც არუქეს). ეს ყველაფერი თავისთავად აზიანებს სპორტსმენის ფსიქოლოგიურ სიმყარეს, ამიტომ ულრიხის წლევანდელი შეუპოვრობა გაკვირვების საბაბიც გახდა. გერმანელი, უფრო ზუსტად — აღმოსავლეთ გერმანელი არმსტრონგის თავის ტკივილად იქცა მთელი ტურის მანძილზე, უტევდა თითქმის ყველა მთიან ეტაპზე და ბოლოსწინა რბოლაში რომ არ წაქცეულიყო, ტურის კვანძი იქნებ სხვა სცენარითაც გახსნილიყო. ისე კი ულრიხი ამერიკელს მხოლოდ ერთი წუთით ჩამორჩა და გერმანული პრესის ისეთი კომპლიმენტები დაიმსახურა, როგორიც იქნებ 1997 წელსაც, ტურზე პირველი და ჯერ ბოლო გამარჯვებისთვის არ რგებია.

კერძოდ, მუდამ ბუზღუნა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" პირველ გვერდზე ულრიხი და არმსტრონგი ხელის ჩამორთმევის ფაზაში ასახა, სიტყვებიც ზომიერად თბილი იყო, ხოლო ოდნავ უფრო ცანცარა „ბილდი" ვეღარ მოერია ემოციებს: „იან, შენ ჩვენთვის უდიდესი ხარ!" — დაიწერა სახალხოდ. ულრიხს აქებენ სპორტს დაბრუნების, ბრძოლისა და პატიოსნებისთვის. ამ უკანასკნელ თვისებას გერმანული პრესა მაინც ცალკე გამოყოფს, იხსენებენ მომენტს, როცა ერთ აღმართზე არმსტრონგმა წაიფორხილა და ულრიხი დაელოდა, მაგრამ ეს ვერ იკმარებს ულრიხის მარცხის ასახსნელად და ვერც ის, სხვათაშორის, რომ დასკვნით ინდივიდუალურ რბოლაში ულრიხი დაეცა და არმსტრონგმა არ დაუცადა. ეს დიდი სპორტია და გამარჯვებულის ვინაობა ხშირად გარემოებათა მთელი ჯაჭვის გადაბმით დგინდება. განა არმსტრონგს კი არ ჰქონდა პრობლემები? ტურამდე მცირე ხნით ადრე კუჭის ანთებამ შეაწუხა, ხოლო თვით შეჯიბრის ერთ ეტაპზე სასწაულით გადარჩა ავარიას, როცა წაქცეულ წინამორბედს გვერდი ძლივს აუქცია. საბოლოო ჯამში ბედი ძლიერთა მხარესაა და ალბათ, არმსტრონგიც წლევანდელ ტურზეც ულრიხს ჯობნიდა, ოღონდ სულ ცოტათი. კაცმა, ვისაც რა ხანია, კიბო ულრინის ტვინსა და ფილტვებს, კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ჯერ საკუთარ თავსა და მერე მსოფლიო ველორბოლის ნაღებზე. მაშ რით არ არის დიადი?

„არა, მთლად მასეც ვერ ვიტყვით — ჭირვეულად ამბობს ძველი გმირი ბერნარ ინო, ვინც „ტურ დე ფრანსი" 1978-79, 1981-82 და 1985 წლებში დაინარჩუნა — ის ნამდვილად ვარსკვლავია, მაგრამ არ ვიცი, სუპერვასკვლავის ტიტულსაც თუ იმსახურებს. მრბოლთა ახალი თაობა მოვიდა, მათ აქვთ რადიო კავშირისათვის, უფრო შეკრული გუნდური სტრატეგია და საერთოდ, ჩვენ უკვე სხვა დროში ვცხოვრობთ."

ინოს ფრაზებში მამის ეგოიზმი მოჩანს, თორემ რადიო მარტო არმსტრონგს ხომ არ აქვს, არამედ მეტოქეებსაც, ამიტომ ვეტერანი ფრანგის არგუმენტაცია სუსტი ჩანს, თუმცა არმსტრონგი მის კრიტიკას არ ჩქარობს. ვერც მეორე ლეგენდის, მიგელ ინდურაინის სიტყვები — „არმსტრონგის მე-6 ტრიუმფისა ნაკლებად მჯერა" — უღელვებს გონებას. ამერიკელს ამ წუთებში ერთადერთი ფიქრი აწუხებს: განტვირთვა, „ადრეულ „ტურ დე ფრანსის" შემდეგ დაუყოვნებლად მორიგისთვის მზადებას ვიწყებდი — თქვა არმსტრონგმა ფრიად მოღლილი სახით — ახლა კი რბოლამ ისე გამომაშრო, ახალ წლამდე უსაქმოდ ყოფნის მეტს არაფერს ვიზამ."

როგორც იტყვიან, ღმერთმა შეარგოს.

**დავით გულუა**



# გუტიაოგის ფორმულა

## ხუან მონტოია: რატომ იღებს რალფ შუმახერი ჩემზე სამჯერ მეტ ხელფასს? ანტონიო პიცონია: რაში მჯობია ის ვიღაც აყლაყუდა ინგლისელი?



მონტოიას, ცხადია, სწყინს რალფის დიდი ხელფასი




FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**რაც უფრო** ახლოვდება წლევანდელი საფორმულო ჩემპიონატის ფინიში, მით მეტი ინფორმაცია ვრცელდება მრბოლების გუნდიდან გუნდში გადასვლის თაობაზე

ამბობენ, „ზაუბერის" შვეიცარიელი მეპატრონე პეტერ ზაუბერი თავის 36 წლის გერმანელ მეგობარ-პილოტს ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს მოხსნას უპირებს, სანაცვლო კი „ჯორდანიდან" ჯანკარლო ფიზიკელას ეპატიჟებაო. ისიც ითქვა, BAR-ში კანადელი ექსჩემპიონის, 31 წლის ჟაკ ვილნევის დღეები დათვლილიაო.

ახლა კიდევ ახალი ჭორ-მართალი აგორდა. აქაოდა, შოტლანდიელ დევიდ კულჰარდის სუსტი შედეგებით უკმაყოფილო „მაკლარენის" ბოსობა გუნდიდან მის გაშვებას აპირებს, შემცვლელად კი უილიამსელი ხუან-პაბლო მონტოია შეუგულებიათო. 32 წლის დი-სის (კულჰარდის ინიციალები) „ვერცხლისფერ ისრებთან" კონტრაქტი წლეულს უმთავრდება და მისი ბოლოდროინდელი არც ისე შთამბეჭდავი ჯირითის გათვალისწინებით — 11 ეტაპის შემდეგ 33 ქულა და მხოლოდ მეშვიდე ადგილი — სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ რონ დენისმა გაუშვას.

რაც შეეხება 27 წლის ხუანს, სატურნირო ცხრილში იგი სადღეისოდ მესამეა, თანაგუნდელ რალფ შუმახერზე ორი ქულით წინაა და არც ისე ბევრით, 14 ქულით ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერ მიხაელ შუმახერს. თეთრ-ცისფერების შეფი სერ ფრენკ უილიამსი არც ფიქრობს კოლუმბიელთან განშორებას. თუმც, რაკი კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო, გამორიცხული არაა, მოვლენები ფინანსურმა გარემოებამ დააჩქაროს, კერძოდ იმან, რომ მონტოიას რალფზე თითქმის სამჯერ ნაკლებს, „სულ რაღაც" წლიურ ხუთიოდე მილიონ დოლარს უხდიან.

მითქმა-მოთქმა, იცოცხლეთ, ბევრია, სადღეისო რეალობა კი ის გახლავთ, რომ მომავალ კვირას „ჰოკენჰაიმრინგზე" გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისას „იაგუარის" საჭესთან ვიხილავთ ჯასტინ უილსონს. 25 წლის ინგლისელი სამი წლით უმცროს ბრაზილიელ ანტონიო პიცონიას ადგილს დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ ორივე დებიუტანტი დღემდე უქულოდ ჯახირობს, მაგრამ იაგუარელებმა შუა სეზონში მაინც მოისურვეს „სისხლის გადასხმა", ჩემპიონატის დასრულებას არ დაელოდნენ და ყველაზე აყლაყუდა (192 სმ) მეფორმულე თავისთან გადაიბირეს, აქაოდა, ბრაზილიელზე ბევრად პერსპექტიულია და წყალწაღებულ „მინარდისთან" შედარებით ჩვენთან უფრო გამოაჩენს თავის ნიჭიერებასო.

დაზარალებულ ანტონიოს „მინარდიში" სათადარიგო მძღოლად დარჩენა შესთავაზეს, რაც თავმოყვარე „ჯუნგლების ბიჭმა", ცხადია, იუარა. მეტიც, უკვე ყოფილ შეფებს კონტრაქტის დარღვევისთვის სასამართლოში ჩივილით ემუქრება.

**გია ახალაძე**




ჯასტინ უილსონი ანტონიო პიცონიას ამჯობინეს





REUTERS ნიუ იორკიდან

# კვლავ ნაცნობ ადგილას

თავის ვექილებს შუა მხეცურ იერით მდგომი მაიკ ტაისონი ბრუკლინის კრიმინალური სასამართლოს წინკართან დგას. სწორედ ახლა დაწყებულა მისი მორიგი სასამართლო პროცესი, რომელმაც ტაისონის და ორი ესპანურად მოლაპარაკე კაცის ჩხუბის საკითხი უნდა განსაჯოს. ჩხუბი ივნისში მოხდა ნიუ იორკში, ტაისონი და ეს კაცები ერთმანეთს სკამებით დაერივნენ სასტუმროს ლობში.

# ყალიბი

არ იფიქროთ, რომ რუდ ვან ნისტელროიმ ფეხები მოიტეხა. უბრალოდ, „ნაიკი“ ასე უკეთებს ბუცებს თავის ვარსკვლავებს. ფეხის ზუსტი ყალიბი მორგებული ფეხსაცმლის გარანტიაა, მორგებული ფეხსაცმელი კი ზუსტი დარტყმისა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ახლა ამერიკაშია ამხანაგურ თამაშებზე და საგარჯიშოდ სწორედ „ნაიკ ვილიჯში“ გაჩერებულა, ორეგონის შტატის პორტლენდში რომ გაუშენებიათ.



REUTERS მანჩესტერიდან



REUTERS სუძუკადან

# მზის თასი

სუძუკას ტრასაზე იმგვარ ძრავებს უბღუილიათ, იმგვარი მოტო და ავტო ამბები უნახავს ხალხს, რომ ამ წყნარად მოსრიალე მანქანას ევებ არც შეხედოს, ანდა უცხოპლანეტური იერის გამო მიაქციოს ყურადღება. ამასობაში კი გახურებულა მზის ენერგიით მავალ მანქანათა თასის ერთ-ერთი შეჯიბრი. მოუგია „აშიას“, რომელსაც 49 წრის გასავლელად ოთხი საათი, შვიდი წუთი და ოთხი წამი დასჭირვებია.

# მისი ფეხები

ამ ფეხების ცნობა ბევრი რამით შეიძლება. „რეალის“ ლოგოთი შორტის ტოტზე, შვილის სახელით მარჯვენა, მსოფლიოს უზუსტეს ჩაწოდებათა შემსრულებელ ფეხზე და ნომრით, მარცხენა ბუცზე. დევიდ ბექემი ვარჯიშზე ჯდგას, მადრიდის „რეალი“ კი მალე ჩინეთს დატოვებს და თავის აზიურ ტურს იაპონიაში, ჰონკონგსა და ტაილანდში გააგრძელებს.



REUTERS კუნმინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge